“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



ლიტერატურული მესხეთი

№8 (236)
აგვისტო
2018 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეოცე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

რა მიზეზებმა განაპირობეს ის ფაქტი, რომ ქართველმა მეფეებმა საგვარეულო სასაფლაოდ აირჩიეს გელათი?!

იოსებ მერაბიშვილი

გელათი, როგორც დასახლებული პუნქტი, დიდი ხანია რაც არსებობს, თუმცა, დღეს იგი სამონასტრო კომპლექსით უფროა ცნობილი, ვიდრე მოსახლეობის სიმჭიდროვით, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, მემატიანეთა ცნობით, გელათი, თითქოს, დავით აღმაშენებელს დაუარსებია.

დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი, **ვახუშტი ბატონიშვილი** თავის ნაშრომში *„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“* წერს: ***„გელათისათვის ამ მთის (კახნაურის მთა) ჩრდილოს, კერძოდ და წყალთ წითელას აღმოსავლეთით, გორის კალთას არს ეკლესია ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისა, დიდმშვენიერი, დიდ ნაგები და ქმნული შიგნით სოფლის კენჭითა, გუმბათიანი, კედელ-მშვენიერს ადგილსა. აღაშენა აღმაშენებელმა დავით მეფემან და უწოდა გენათი, და აწ უწოდებენ გელათს. აქა არს ყოვლად წმინდის ხახულის ღვთისმშობლის ლუკა მახარობლის დახატული, ყოვლადწმინდის მითვე, და შემკული ძვირფასი ქვებითა აღმაშენებლისა და თამარ მეფისათი. აქავ არს ვარძიის ჯვარი, შემკული დიდ ფრიად და არიან ხატნი და ჯვარნი ოქრო ვერცხლითა და ქვითა შემკული, ძველითვე მრავალი და ეკლესია შემკული ყოვლითა საეკლესიო წესითა. ჰკიდავს ზღუდის კარი ბჭესა მისსა, რკინისა აღმაშენებლის მოტანილი დარუბანდიდამ და ეკლესიის ბჭეს კიდავს კარი ერთის ვაზისაგან გამოთლილი, უცხოა ხელოვნებით ქანდაკებული. ამას შინა დაფლულ არიან: აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით და სხვანიცა. პირველად იყო მონასტერი, შემდგომად ჰყო ბაგრატ საეპისკოპოსოდ. ამას მისცა სამწყემსოდ არგვეთის ნახევარი და ოკრიბა, ქუთათელის სამწყსონი“.***

დავითის მიერ გელათის აგებას ადასტურებენ სხვა ისტორიკოსებიც, მაგალითად:

ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში (*„საქართველოს ისტორია მეთერთმეტე საუკუნეებში“, გამომც. „სახელგამი, თბ.1949 წ. გვ. 45*) წერს: ***„კახეთის შემოერთების შემდეგ დავითი 1106 წელს გელათის აგებას შეუდგა. აქ მან თავი მოუყარა ყველა მეცნიერ გამოჩენილ პირს, უზრუნველყო იგი ქონებრივათაც, მეორე ათინად აქცია ისინი“.***

იგივე ავტორი, თავის ნაშრომის მეორე წიგნშიც ადასტურებს რა დავითის მიერ გელათის აგებას, იმეორებს, რომ: ***„ადგილსა ყოვლად მშვენიერსა ყოვლითურთ უნაკლულსა „გელათის დადგა ტაძარი“ აღმატებულთა ყოველთა წინანდელთა ქმნულებითა შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი, შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, დაამკვიდრა გელათს. ეს ლავრა ქონებრივადაც უზრუნველჰყო. ასე შექმნა მთელი აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად, სასწავლად ყოვლისა კეთილსა ფრიად უაღრეს, ვიდრე ათინა“.***

ამასვე ადასტურებს „ქართლის ცხოვრება“ (*ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული გვ. 329*): ***„მეფე დავით განამრავლებდა ტალანტთა, რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა... ადგილსა ყოვლად მშვენიერსა, ყოვლად უნაკლულოსა, ვითარცა მეორე ცა გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმინდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღვთისა,. აღმატებული წინანდელთა ქმნულთა, რომელი ზესთა ჰმატს მშვენიერებასა ყოველთასა სივრცითი და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა... და აღავსო სიწმინდითა ყოვლად დიდებულთა და ნივთთა ძნიად საპოვნელთა და მუნვე შემოიკრიბა კაცნი პატიოსანნი, სათნოებითა“.***

უფრო მეტიც, ზოგიერთის აზრით, დავითს ვერც კი მოუსწრია გელათის დამთავრება, ეს მის ანდერძშიც გამოსჭვივის (*ვ.ბატონიშვილი, „საქართველოს ისტორია“, ნაწ.1, გვ. 147. გამოც, 1885*). როგორც ცნობილია, ეს წიგნი **გ.ქართველიშვილს** გამოუცია, რომლისთვისაც დაურთავს **დიმიტრი ბაქრაძის** განმარტებები და შევსებანი ***„ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით“.*** რითაც ჩანს, რომ მეფე დავით აღმაშენებელს სიკვდილის წინ დაუწერია ანდერძი, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად ლაპარაკია გელათზე, როგორც მეფეთა საგვარელო სამარხზე. თვით დავითი ამის შესახებ ასე წერს: ***„ხოლო დარჩა მონასტერი (გელათი) სამარხი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა უსრულად და წარმყვა მისთვისცა ტკივილი სამარადისო. ან შვილმან ჩემმან მეფემან სრულ ჰყოს ყოველითურთ და რაც ადგილნი მიშოვნია, ისინი შესწირონ მონასტერს, ვითარცა ბერმან არსენიმ და კათალიკოსმან გამოარჩიონ, ხოლო მეფემან დიმიტრი, მიცემითა წერილისათა და სიგელითა განასრულოს ყოველითურთ უნაკლოდ“.***

თავის მხრივ, ისტორიკოსი **დიმიტრი ბაქრაძეც** აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელს გელათი დაუმთავრებელი დარჩაო და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს დავითის ადგილსამყოფელი და ასკვნის – ***„დავითი იმიტომაცაა ეკლესიის გარეთ დამარხული, რომ გელათის ეკლესია დაუმთავრებელი იყოო“.***

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დავითის ეკლესიის გარეთ დამარხვა გელათის დაუმთავრებლობის საბუთად არ გამოდგება. ჯერ ერთი, დავითს თვითონ უსურვებია ამ ადგილზე დაკრძალვა. ამას მისი საფლავის ქვის წარწერაც ადასტურებს: ***„რამეთუ ასე მნთავს, რათა აქ დავემკვიდრო მე“.*** მეორეც, არის ისეთი ფაქტიც, რომ მიცვალებული დამარხულია ეკლესიის შიგნით ჯერ კიდევ მაშინ, როცა გელათის ეკლესია სანახევროდაც არ იყო აგებული. მაგალითად, ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, გელათში დამარხულია **ჭყონდიდელი,** მაგრამ იქვე აღნიშნულია მისი სახელი გიორგი. ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ გიორგი ჭყონდიდელი 1118 წელს გარდაიცვალა. მაშასადამე, დავით მეფეზე შვიდი წლით ადრე და, მიუხედავად ამისა, მაინც ეკლესიის შიგნით არის დასაფლავებული. ე.ი. დავითი ეკლესიის გარეთ თავისი სურვილით დამარხულა, ხოლო ეკლესიის აგების დამთავრების საკითხი აქ არაფერ შუაშია.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ გელათი დავითის სიკვდილამდე არ იყო დამთავრებული. სინამდვილეში დავითს დაუმთავრებელი დარჩა ეს ეკლესია და იგი მისი შვილის **დემეტრე პირველის** მიერ იქნა დანაკურთხ-განათლული.

იმავე პერიოდის ისტორიკოსები საკითხის სხვა მხარეზეც მიუთითებენ, მაგრამ თუ მათ ღრმად ჩავუკვირდებით, სხვა ბევრ საინტერესო ფაქტსაც შევნიშნავთ:

იქ, სადაც **ვარდან დიდი** დავით აღმაშენებლის მეფეთა სამარხში დამარხვაზე წერს, ვკითხულობთ: ***„დავითი მოკვდა თბილისს და დასაფლავებულ იქნა საძვალესა მამაპაპათა მისთასა გელათს“.*** აქ სიტყვები ***„მამაპაპათა მისთასა“*** შეუფერებლად ისმის, სამარხი ხომ მან თვითონ შექმნა, ამიტომ იგი შეიძლებოდა ყოფილიყო დავითის შვილიშვილთა და არა ***„მამაპაპათა“*** სამარხი.

ეს ამბავი ჯერ კიდევ **მარი ბროსემ** შენიშნა და ვარდანის შეცდომაზე მიუთითა.

ამ საკითხს თავის დროზე **დიუბუაც** შეხებია. ეს ის დიუბუაა, რომელიც ***„თავისში ათავსებდა მოგზაურის, არხეოლოგისა, ეთნოგრაფისა და ნატურალისტის სპეციალობას“.*** დიუბუა 1798 წელს დაიბადა და 52 წლის ჰასაკში გარდაიცვალა კიდეც.

მარი-ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე ფრანგი იყო (შვეიცარიიდან), დაგვიტოვა ნაშრომი *„მოგზაურობა კავკასიაში, ჩერქეზეთში, აფხაზეთში, კოლხიდაში, სასომხეთსა და ყირიმში“.* ამ წიგნში ბევრი რამ წერია საქართველოსა და, კერძოდ, გელათის შესახებ. დიუბუამ გელათის აგების შესახებ წამოჭრილ საკითხს ორიგინალური გადაწყვეტა მოუძებნა. მან საქმე სულ სხვანაირად შეატრიალა, მისი აზრით, დავითი არის გელათის ***შემკეთებელი, აღმდგენელი, არსებულზე მიმმატებელი.*** თუ მისი ნათქვამი სიმართლეს შეიცავს, მისი ამ განცხადებიდან მართებული დასკვნა იქნება ის, რომ გელათის ადგილას ნაგებობანი არსებობდნენ მანამდეც.

ამის შემდეგ საძიებელი ხდება ორი რამ: პირველი – ვინ იყვნენ მშენებლები და, მეორე: – გელათის საერთო ანსამბლში, სახელდობრ, რა ნაგებობებია მათ მიერ შექმნილი. გარდა ამისა, შეიძლება იმითაც დავინტერესდეთ, რა მიუმატეს შემდეგდროინდელმა მშენებლებმა, მაგრამ ჩვენ საკითხთან დაკავშირებით უფრო წინა ორი საკითხი გვაინტერესებს.

გელათი არა ერთი, არამედ რამდენიმე შენობათა საერთო ანსამბლია. უფრო მეტიც, იგი სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ნაგებობათა ნაერთს წარმოადგენს და ისე ლამაზადაა ერთმანეთთან შეხამებული, რომ შორიდან მაცქერალ ადამიანს მთლიანობაში ესახება. ამ საერთო ნაგებობაში შემავალი ზოგიერთი ეკლესია და სხვა შენობები დავით აღმაშენებლამდე ყოფილა აგებული.

თუ რომელი შენობა როდის, ან ვის მიერაა აგებული, ეს ხელოვნების ისტორიის საქმეა. იმას კი აღვნიშნავთ, რომ ეკლესია, რომელიც მთავარ ანგელოზის სახელზეა აგებული და დიდი ხნის წინ არსებობდა, **თედო ჟორდანიას** მიერ გამოქვეყნებული ქრონიკების პირველ ტომში (144-ე) ვკითხულობთ: ***„წმინდისა ამის (გელათის) უდაბნოსა აღმაშენებელსა ბაგრატ მეფესა საუკუნემცა არს სახსენებელი“.*** აქ მეფე ბაგრატ მესამეზეა ლაპარაკი, ვინაიდან იგი X-XI საუკუნეების მიჯნაზე მეფობდა, ხოლო თვით N144-ე „ქრონიკა: 1014 წლითაა დათარიღებული.

დავით აღმაშენებელი **გიორგი მეორის** შვილი იყო, გიორგი მეორე კი **ბაგრატ მესამისა.** მაშასადამე, გელათის ერთი ეკლესია დავითის პაპის მიერ ყოფილა აგებული.

განვიხილოთ ერთი ფაქტიც: ისტორიულად ცნობილია, რომ **არსენ იყალთოელს** გელათში უმოღვაწია, იქვე ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. არსენი გელათში 1114 წელს მისულა და იქ რომ ნაგებობები არ ყოფილიყო, სად იმუშავებდა?

კიდევ ერთიც: როცა დავითს ეკლესია აუგია, ისტორიულ საბუთებში, კერძოდ, მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ წერია: ***„მეორეცა გარდააგდოო“.*** აქ აშკარადაა ნათქვამი, მეორე ეკლესიაც ააშენაო.

აღმოჩენილია მასალები, რომლითაც მტკიცდება, რომ გელათის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია არა თუ დავითის მიერ XI საუკუნეში იქნა აგებული, არამედ ბევრად უფრო ადრეც (X ს.) არსებულა. ასე მაგალითად: **კ.კეკელიძეს** თავის ნაშრომში („ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ.1, 1 გვ.251) მოჰყავს ერთი ძველი სიგელის ამონაწერი, რომელშიც ვკითხულობთ: ***„მეფე ბაგრატი (თანამეცხედრედ ელენესა და შვილის ალექსანდრეს მონაწილეობით) იოსებ ფანჩულიძეს მიმართავს: გელათის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც მურვან ყრუს დაუნგრევია, ბაკურაძისაგან შენ მიგიღია ასაშენებლადო“*** და სხვა.

მაშასადამე, გელათში ეკლესია **მურვან ყრუმდეც** კი ყოფილა ნაგები და მას დაუნგრევია კიდეც, ხოლო ქართველ მოწინავე მამულიშვილებს მისი შეკეთება უვალდებულიათ.

უფრო მეტიც, რიგი მკვლევარებისა (**გ.წერეთელი** და სხვ.) იმასაც კი გვთავაზობენ, რომ გელათი ქუთაისზე ადრე ყოფილა დაარსებული და ქუთაისის ციხეც ძველი ქალაქის – გელათის მისადგომების დასაცავად იყო აგებულიო.

ვფიქრობთ, გელათის აგების თარიღის შორეულ წარსულში ძებნა, ამით შემოვფარგლოთ, რადგან თამარის საფლავის ძიების საკითხთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. მთავარი ისაა, რომ საგვარეულო სამარხად მიჩნეულია გელათი. ამას თავისი მიზეზები ექნებოდა, რომელთა შორის მთავარია სიმყუდროვე.

როგორც აღინიშნა, გელათს რამდენიმე ფუნქცია უნდა შეესრულებინა. მაშასადამე, უნდა აგებულიყო არაერთი შენობა, არამედ ნაგებობათა მთელი ანსამბლი.

საქმის ეკონომიურობა მოითხოვდა, იგი ისე მოწყობილიყო, რომ ერთსა და იმავე ნაგებობას, რაც შეიძლება მეტი გამოყენება ჰქონოდა. ეს ასეც მოხდა: ეკლესიები და მისი მინაშენები ერთიდაიმავე დროს სამლოცველოებიც ყოფილა და სასაფლაოებიც, ასევე – სამრეკლო-სატუსაღოც და სხვ.

გელათი, რომელსაც ოთხი ჰექტარი ფართობი უკავია, რვა ნაგებობას შეიცავს. აქედან 4 ეკლესიაა: ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ტაძარი, წმ. გიორგის პატარა ეკლესია, წმ.ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა და წმ. ილიას სახელობისა.

დასასრული მე-7 გვ.▶

პროზა

ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲮᲐᲜ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ

განთიადისას ბუკ-საყვირის ხმამ გამოაფხიზლა ასპინძის ციხე. სამცხეში სტუმრად მყოფ მეფე დავით ლაშას ძეს ჯავახეთის გამგებელი გამრეკელ-თორელი ეახლა მცირე ამალით.

დიდად ეამა მეფეს მისი ნახვა, მამაშვილურად გადაჰკოცნა, მერე მკვირცხლად აუყვნენ ორივენი სათათბირო პალატისაკენ მიმავალ კიბეებს და ციხისთავი გოგინა ვარძელისძე იხმეს.

ფრთხილად შეაღო ციხისთავმა სათათბირო პალატის კარი. ტანმაღალი, ლამაზი ჭაბუკი მეფე დავითი სუფრაზე დახრილიყო და წინ გაშლილ ეტრატს დაჰყურებდა. მხარმარჯვნივ სამცხის მფლობელი, ციხისჯვარელი, სარგის ჯაყელი ედგა, მხარმარცხნივ – ერისთავთერისთავი გრიგოლ სურამელი.

პალატის კარებთან თორღვა პანკელი დახვდა გოგინას, რომელმაც შემოსულის ზურგს უკან სწრაფად მიხურა მუხის მოჭედილი კარი და მშვიდად ეახლა მეფეს.

ფიქრში წასულმა გვირგვინოსანმა მაღლა აიღო თავი. გოგინას მოეჩვენა – წუხანდელს აქეთ, თითქოს, უფრო დამშვენებულიყო ალასტნელი ქალის შვილი. მეფეს თითქოს მეტ სილამაზეს ანიჭებდა თმაში ნაადრევად შეპარული ჭაღარა და უფრო მიმზიდველს ხდიდა მის ისედაც ლამაზ გარეგნობას.

– მალემსრბოლი ხომ არ დაბრუნებულა თბილისიდან, ჭაბუკო! – ჰკითხა მეფემ.

– არ გამოჩენილა, მეფევ-ბატონო, როგორც კი მოვა, უმალ გაახლებთ.

– მოხიბლული დავრჩი სამცხის ბუნებით. კოხტას ციხისა და ღართის ეკლესიის ხილვა გვწადია. კარგი იქნება, სამგზავრო თადარიგს თუ დაიჭერ. დედოფალ ჯიგდა-ხათუნს ვარძიაში აახლე წიგნი, პირადადაც გადაეცი – მეფე სანადიროდ წაბრძანდა-თქო, სარგის ჯაყელის მამულში. ორი დღის შემდეგ კი ირმის მთაზე გამართულ ერის კოტაობას დავესწრებით.

მეფე ერთხანს სდუმდა, მერე სუფრაზე დაიხარა.

– წმინდა მამათა სავანის ხილვა მეც გულით მწადია, ჭაბუკო. ვინძლო ავჩქარდეთ. მართალია ძნელი გზა გველის, მაგრამ ურიგო არ იქნება, ასეთ მრისხანე ჟამს ორიოდე წვეთი ნაკურთხი წყალი ჩვენც შეგვესვა.

მერე სწრაფად მიუბრუნდა ზურგს უკან მდგარ სარგის ჯაყელს და დასძინა:

– ვარძიის წმინდა მამათა ლოცვა ახლა უფრო საჭირო იქნება ამ საშვილიშვილო საქმისათვის ბრძოლის წინ. მერე ხმლის ვადაზე დაიწყო ხელები, ციხის სარკმლიდან ერთხანს გარინდებული გაჰყურებდა მტკვრის ხეობას და, თითქოს შემოხვეული ბურუსი თავიდან მოიშორაო, მდუმარედ შეხედა მის წინ მდგარ დიდებულებს.

გოგინას მოეჩვენა, ამ ერთი ღამის განმავლობაში ასპინძის ციხეს ერთბაშად გამოეცვალა ქართველთა მეფე. დიდებულთა მდუმარებაში ამოიკითხა უთქმელი ბოღმა და იგრძნო, რომ საჭირო იყო მხოლოდ ტალკვესის ერთი ჩამოკვრა და მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების ცეცხლი მესხეთიდან მთელ საქართველოს მოედებოდა.

***

ხვილიშის ხევიდან ელვის სისწრაფით ამოიჭრნენ გაოფლიანებული ცხენოსნები. მონღოლურ, ტანმორჩილ ცხენებზე ამხედრებულებს, გრძელისრებიანი კაპარჭები ზურგზე მოეგდოთ და რკინის პერანგებით შემოსილები თავს არ ზოგავდნენ.

ორმოცის ციხესთან გრძელშუბიანი გუშაგები გადაუდგნენ ცხენოსნებს წინ.

– გოგინამ შორიდანვე იცნო ჩიხორიშელი აზნაური მგელიკა და ყალყზე შეაყენა დაოთხილი ცხენი.

– ვის რა უფლება აქვს, გზა გადაუღობოს მეფის ყმებს! – დასჭყივლა ზემოდან და უბიდან დაგრაგნილი უსტარი ამოიღო.

– მეფის წიგნი უნდა ვაახლო ვარძიაში დედოფალს. სხვა რომ ყოფილიყავ, მგელიკავ, თავს გაგიჩეხავდი, იცოდე, მადლობა უთხარი უფალს, რომ გიცანი და გზის ძალით გაკაფვას უსისხლოდ გაცლა ვარჩიე. ღვთის წყალობით, ჯერ კიდევ მეფის ყმები ვართ და არა ვიღაცა გამონღოლებული აზნაურისა. მერე მეფის ბეჭდიანი წიგნი კვლავ უბეში ჩაიდო. თანმხლებს ხელით ანიშნა, მომყევითო და შარაზე გასულ ცხენს მათრახი სტკიცა.

***

ტოლოშის ხევის დანახვამ ძველი იარა გაახსენა გოგინას. მტკვრის გაღმა, მთების კალთებზე შეფენილ ტერესებზე, ძალუმად აჭერდა მზე. აქა-იქ სიყვითლეც შეჰპარვოდა ხეხილის ბაღებს. პირდაღებული გველეშაპივით მოჩანდა გადამწვარი სოფლები.

კაცს ბედი უნდა ცხოვრებაში. განა ვინმე იტყოდა სოფელში, გოგინა ჯაბანიაო?! ვერა, ვერ იტყოდა! არც ხმალში გასვლისა ეშინოდა გოგინას და არც ნასროლ ისარს დააცდენდა მიზანს. თვალი არ აკლდა და ტანი, მკლავი ერჩოდა და გული.

მაშინაც ასეთი ამინდი იყო. თვრამეტი წლის ჭაბუკი აეკვიატა მამას – გინდა თუ არა, ხვარაზმელებთან ბრძოლაში წამიყვანეო.

დიდი ხვეწნის შემდეგ, სამცხელ აზნაურთა მიერ შედგენილ ლაშქარს გაჰყვა მამა-შვილი და შალვა ახალციხელს ეახლნენ თბილისში. გოგინას ბევრი რამ გაეგონა ამ მამაც ქართველზე. გულითაც ამაყობდა კიდეც, რომ მისი სოფელი ასპინძა ახალციხესთან სულ ახლოს იყო და ყოველთვის ცდილობდა როგორმე მიებაძა ამ სახელოვანი მამულიშვილისათვის.

საქართველოს ერთიანი ლაშქარი გარნისის მიდამოებში დაბანაკდა მაშინ. გოგინა მამასთან ერთად, შალვა და ივანე ახალციხელების გვერდით ტრიალებდა. მოხუც თანდილას, რომელმაც ჯერ კიდევ ბასიანის ომში ასახელა ქართული მახვილი და თამარ მეფემ ამ მამაცობისათვის აზნაურობაც კი უბოძა, დიდად აფასებდა შალვა. ამიტომ იყო, რომ ჩიხორიშელ აზნაურთა რაზმს სწორედ თანდილა უთავა ბრძოლაში.

ხუთი ათასი მებრძოლისაგან შემდგარი მესხთა მეწინავე ლაშქარი თავდაუზოგავად ეკვეთა ხვარაზმელებს. გოგონაც წინა რიგებში იბრძოდა მამის გვერდით.

ერთმანეთში აირია ცა და მიწა, კაცი და ცხენი, რკინა და სისხლი. მამა-შვილი მხარდამხარ იბრძოდნენ, ხოლო, როცა მესხთა მეწინავე რაზმი ხვარაზმელებმა გადაქელეს და საქართველოს მეწინავე ლაშქარი მოიშალა, გოგინამ მხედველობიდან დაკარგა მამა. ერთბაშად, ეგონა, ცა კუპრივით ჩამობნელდაო. მის გაფერმკრთალებულ შუბლზე აირია ოფლი და სისხლი, მუხლები მოუდუნდა და მიწაზე დაემხო.

შუაღამისას ცხენის ჭიხვინმა გამოაფხიზლა გოგინა. ძლივს ასწია შედედებული სისხლით დამძიმებული ქუთუთოები. ასე ეგონა, უზარმაზარ ხაროში ჩავარდნილს, ვეფხვის ბოკვერები ასხდნენ თავზე და დაუნდობლად უღრღნიდნენ დაკოდილ შუბლს. დრო შეუმჩნევლად მიღოღავდა ნაომარ ველზე. მერე, თანდათან, ამოისვეტა ზაფხულის მზე. სიცხემ და სისხლის სუნმა კვლავ გონზე მოიყვანა იგი. არ უგრძვნია, რამდენ ხანს იწვა ასე გარინდებული. ფეხზე წამოდგომა მოინდომა. იგრძნო, მარჯვენა კვლავ ძველებურად ემორჩილებოდა მის სურვილს. მარცხენაც ნებაზე მიჰყვა. მერე, რა გაიგო, ორივე ხელი მთელი მაქვსო, ფეხებზე გადაიტანა გონება. რაღაც მძიმე დასწოლოდა მკერდზე. დაბუჟებული თითები ნელა აამოძრავა, თავიდან მოიშორა ჩალეწილი ჩაფხუტი, მკერდზე დაწოლილი ადამიანად მოეჩვენა. ერთბაშად გაცოცხლდა გრძელ და დაუსრულებელ გზაზე დაჭრილთა ხეტიალი...

ერთი თვის შემდეგ, როგორც იქნა, ხერთვისის ციხეს მოადგნენ სიცხიანნი. მეციხოვნეებმა გულთბილად მიიღეს გარნისის მიწაზე ნაომარი ვაჟკაცები. სასწრაფოდ ჩამოიყვანეს ნიალიდან დასტაქარი. ჯერ მგელიკას უაქიმა მოხუცმა სალომემ, მერე დიდხანს დასჩერებოდა გოგინას გაჩეხილ შუბლს. მალამო ამოიღო ჩანთიდან. ბალახების შეზავებული ნაყენით მოჰბანა ჭრილობა, ფრთხილად წაუსვა მალამო და მაგრად შეუკრა შუბლი.

– ჭრილობა დაჩირქებია, უკვე. ერთი თვის მკურნალობა მაინც უნდა, თორემ, შეიძლება შეიწიროს, საწყალი, – თქვა ნასვლისას. შემდეგ ციხისთავი მოინახულა, დარჩენილი მალამო დაუტოვა და ურჩია, ავადმყოფისთვის მყუდრო ადგილი გამოეძებნათ, სადმე.

სამი დღე იწვა უგრძნობლად გოგინა. თვალები რომ გაახილა, ეუცხოვა ყოველივე.

სასთუმალზე წამოიწია ავადმყოფმა. – სად ვარ? – იკითხა მისუსტებული ხმით. ხელებით მოსინჯა შეხვეული სახე. ირგვლივ წყვდიადი მეფობდა, თითქოს.

– მკურნალმა აგიკრძალათ მოძრაობა. ზედმეტი დაძაბულობა გავნებთ, უცილოდ, – ჩაესმა დაჭრილს. თითქოს ნაცნობად მოეჩვენა ქალის ხმა. წინ, ბნელში გაიშვირა მკლავი. მის დაკოჟრილ ხელებს თბილი, ფაფუკი თითები შეეხო.

– მეფეთა სასახლეში ნახული ქანდაკება თუ გაცოცხლებულაო, – გაივლო გულში, მერე ღონე მოიკრიბა სასთუმალზე მწოლმა.

– შენი სახელი მიბოძე, ქალავ! – თქვა და სიბნელეში ამოჩემებულ წერტილს მიაჩერდა.

– სახელი რად გინდა. მალე მკურნალი შუბლს შეგიხსნის და ისედაც მიცნობ! – სიცილით თქვა სიბნელეში მდგომმა. მერე სასთუმალზე დაიხარა და ფრთხილად შეუეცა საბნის კალთები.

დღეს დღე მისდევდა. თავისუფალ დროს ხშირად ნახულობდა დაჭრილს გვანცა. მისი სიახლოვე გოგინას ისე ახარებდა, უიმისოდ ვერც კი წარმოედგინა სიცოცხლე. გიორგობის ჩვიდმეტში, როცა მკურნალმა ბანდებით შეხვეული თავი შეუხსნა, ბალღივით ლაღობდა. მთელი დღე თუთის ძირში წამოწოლილი, მაღლა, ლურჯ ცას მისჩერებოდა და მომავალზე ფიქრობდა, თუმცა ისიც კი ვერ წარმოედგინა, რას უქადდა ხვალინდელი დღე. მის გვერდით ჩამომჯდარი გვანცა თავის წარსულზე მოუთხრობდა გოგინას. იხსენებდა ჯავახეთის მთებში, მამის გვერდით გატარებულ წლებს, მარიობა დღეს, მლოცველთა ნახვას ვარძიაში.

საღამოპირს ცუდი ამბავი მოიტანეს სოფელში შემოსულმა ცხენოსნებმა: ირმის რქის მთიდან კარგად დავინახეთ, როგორ იწვოდა ჯავახეთის მხარის სოფლებიო. იმასაც ამბობდნენ,– ხვარაზმელების მარბიელი ლაშქარი საცაა ამ მხარესაც მოსწვდებაო.

სწრაფად გაიხიზნა მთელი სოფელი. დადეშის დარნები და გამოქვაბულები აივსო ხიზნებით. ზედა სართულებში ბავშვები და ქალები მოთავსდნენ. ქვის უზარმაზარი კარებით მძიმედ ჩაკეტეს შემოსასვლელი და დაელოდნენ ბედის განაჩენს.

მთელი ღამე არ მოუხუჭავს გოგინას თვალი. ღამურები დაფრინავდნენ ჩაბნელებულ გამოქვაბულში. დადეშისა და ზიარეთის ხევებში გაბმით კიოდა ჭოტი. გამოქვაბულიდან გამოქვაბულში გადადიოდა გოგინა. ყველას გვანცას ამბავს ეკითხებოდა. მისი მნახველი კი არავინ ჩანდა.

დაღლილ-დაქანცული გასასვლელ კარებთან ჩამოჯდა. თავი მხრებში ჩარგო და თვალებზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა.

მოხუცი იორდანე სულ იმას ჩასჩიჩინებდა – გვანცა, საღამოპირს, წყაროსთან დავინახე, ხერთვისისკენ ნახირს მიერეკებოდა სოფლის ბიჭებთან ერთად და მარბიელ ლაშქარს ციხეში უსათუოდ შეასწრებდაო. ხოლო, როცა განთიადისას, მთების კალთებზე გაწოლილი შემოდგომის ნისლები გაიფანტნენ, გამოქვაბულიდან დაინახეს, როგორ იწვოდა სოფელი. ქვის სარკმელს მიყრდნობილმა გოგინამ, მაშინღა იფიქრა, რომ გვანცა სამუდამოდ დაკარგა. ამაოდ ევედრა კარებში მდგომ ჯავშნიან გუშაგებს – კარები გამიღეთო, მაგრამ, ამაოდ... უცებ ხელი დაავლო შიშველ ხმალს, – თუ კარებს არ გამიღებთ, სისხლს დავღვრიო, იცოდეთ. მერე, როგორც იქნა, რამდენიმე მებრძოლთან ერთად, სოფელში გაგზავნეს, ამბის გასაგებად.

პირველ რიგში თივის ჩაფერფლილი ზვინები ეცა თვალში გოგინას. ალმური ასდიოდა შერუჯულ კედლებზე მიყრილ ბოძებს. გახევებული შედგა გვანცას ოდის წინ და კარგა ხანს გარინდებული იდგა, მერე ბარბაცით გაშორდა იქაურობას და ხერთვისისკენ მიმავალ გზას დაადგა.

აი, სწორედ ამ ადგილს ნახა ხმლებით დაჩეხილი რამდენიმე გვამი, მათ შორის იცნო გვანცას გრძელი ნაწნავები და სანთელივით ჩამოქნილი თითები.

კაკლის ძირში ხმლით გაუთხარა საფლავი. ტანიდან პერანგი გაიხადა, შიგ შეახვია და ისე მიაბარა საყვარელი არსება მიწას. ვინ იცის, რამდენ ხანს მდგარა ამ ადგილას. ხშირად ვაჟკაცის გულს ბოღმა ვერ დაუფარავს და უტირია ისე, მესხი ქალები რომ დასტირიან ხოლმე დაკარგულ შვილებს.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მამის ფუძეს შეკედლებულ გოგინას, პირველ გრძნობაზე ფეხი არ დაუდგამს და, როგორც მგზავრი ღამეში მოკიაფე ვარსკვლავს, ისე შესტრფოდა ამ ობოლ, განმარტოებულ საფლავს.

აი ახლაც, ისევ ისე გამოიყურება ტოლოშის ხევი. სიყვითლე შეჰპარვია ტერასებზე გაშლილ ბაღებს. გლეხის ქალები წისქვილში მიდიან. გოგინაც კვლავ ამ გზაზე მიაჭენებს გაოფლილ ცხენს და, ვინ იცის, რას უქადის ხვალინდელი დღე.

***

ქორსატეველაზე დილიდანვე იმატა მლოცველთა რიცხვმა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ფეხშიშველნი და თავშიშველნი. ქართლიდან და სამცხიდან, ჯავახეთიდან და ტაოდან მოსული ცხენოსნები

→

პროზა

ირეოდნენ ერთმანეთში. ზოგს საბელით გამობმული საღმრთოდ აღქმული ყოჩი მოჰყავდა, ზოგს ფეხებშეკრული მტრედები ამოედო იღლიაში ვარძიაში გასაშვებად.

ფეხშიშველი ქალები წუთით ჩერდებოდნენ ალაგურის ჭალებში, პირჯვრის წერით შეხედავდნენ კლდეში ნაკვეთ ვაჰანის ქვაბთა მონასტერს, შემდეგ კი ჩუმი ლოცვითა და პირჯვრის წერით ვარძიისკენ მისდევდნენ მორწმუნეთა ტალღას.

ჭრელ-ჭრელი კარვები ჩამწკრივებულიყო ქორსატეველაზე. ვიწრო, საცალფეხო ხიდზე განუწყვეტლივ მოედინებოდნენ ვარძიის მონასტრისაკენ მომავალი მლოცველები.

მტკვრის ნაპირზე, ზოგს უკვე მოესწრო, მწვანე მოლზე, სახელდახელოდ, სუფრის გაშლა. უხვად ეწყოთ სადღესასწაულოდ გამომცხვარი ქადები, ნაზუქები, თორნის პურები, თუთის არაყით სავსე დოქები და საადრეო ხილი. თუხთუხებდა სახელდახელოდ ზედადგრებზე შედგმული ცხვრის ხორცით სავსე საარაყე ქვაბები. მთელ ხეობაში ისმოდა ტაშ-ფანდურისა და მესხური ფერხულის ხმები.

საქართველოს დედოფალი ჯიგდა-ხათუნი, სეფე-ქალებით, ადრიანად სტუმრობდა ვარძიის მონასტერს. ღვთისმშობლის წინაშე მთელი საათი იდგა გარინდებული. მერე პირჯვარი გარდაისახა და რამდენიმე სიტყვა ჩურჩულით წარმოსთქვა.

გახარებული იყო ვარძიის წინამძღოლი მამა ზოსიმე. შავანაფორიანი ბერებით უკან დასდევდა დედოფალს და ქრისტეს მოძღვრებას ქადაგებდა ტკბილი ხმით.

დედოფლის ვიწრო, ბრტყელ შუბლს ოქროთი მოჭედილი აბრეშუმის ქალაღაია ამშვენებდა. ვიწრო თვალები ძლივს მოუჩანდა ფოსოებში ჩამჯდარი. ერთადერთი მსხვილი ნაწნავი გადაეგდო ზურგზე და მლოცველთა ჭვრეტას არაფრად აგდებდა.

ტაძარში უცნაური სუნი ტრიალებდა. კვამლსა და ბუღს დაეფარა წმინდანთა ფრესკები.

ანანურის ეკლესიიდან დაწყებული, თამარის სენაკამდე, მლოცველთა ტალღა მოსდებოდა მთელ მონასტერს.

ჯვალოს ანაფორიანი ბერები ვერ აუდიოდნენ საღმრთოთა კურთხევას, აბღავლებულ ცხვრებს სახელდახელოდ აჭრიდნენ ყურებს, შემდეგ კი ალისფერ სისხლს ეკლესიის გაქონილ ლოდებზე უსვამდნენ ჯვარედინად.

– ქრისტეს ძალას განუკურნებია მონღოლთა უფლისწული, საქართველოს დედოფალი ჯიგდა-ხათუნი, რომელსაც უცნაური სენი შეჰყრიაო დიდ ურდოში ყოფნისას. შეიძლება ამიტომ არ შეეძინაო ტახტის მემკვიდრე, – ჩურჩულებდნენ ჯავახი მლოცველები და ზოგი იმასაც უმატებდა, ერთობ გახარებულია ვარძიის წინამძღოლი ზოსიმე, რომელიც, უკან ადევნებული, ბავშვივით დასდევსო, უცნაურად მორთულ დედოფალს.

ვარძიის წინამძღოლი არაფრად აგდებდა ჯავახთა დაცინვას და გული უგრძნობდა, ყოვლისშემძლე იესო ქრისტე ჯერ კიდევ ბევრ სასწაულს მოახდენდა ურწმუნოთა მოსარჯულებლად.

ჯიგდა-ხათუნს ხელმარჯვნივ ახოვანი, თორ-აბჯარში ჩამჯდარი, ლამაზი ჭაბუკი ედგა, რომელიც უცნაურ უიღურულ ენაზე, წამდაუწუმ, რაღაცას მოუთხრობდა დედოფალს და შავებით მორთულ ახალგაზრდა მლოცველებს თამამად უჭვრეტდა.

ის-ის იყო დედოფალის ამალა თამარის პალატისაკენ ამავალ კლდეში ნაკვეთ კიბეებს უნდა შესდგომოდა, რომ, ჭაბუკმა, რაღაც უჩურჩულა დედოფალს, მერე ორივემ ქორსატეველას გადახედეს და გზაზე დატრიალებულ კორიანტელს მიაპყრეს მზერა, – რამდენიმე ცხენოსანი თავდაუზოგავად მოჰქროდა.

– მეფის მალემსრბოლელები იქნებიან, დედოფალო. იქნებ აჯობებს, კარვებში დავბრუნდეთ და შევიტყოთ, ხომ არაფერს გვიბრძანებს მეფე დავითი... – თქვა ჭაბუკმა.

დედოფალი ერთხანს უჭვრეტდა მქროლავ ცხენოსნებს. მათმა სილაღემ შორეულ ურდოში თავისუფლად ნავარდი გაახსენა. სახე გაუნათდა უცებ. სწრაფად მოუბრუნდა თანმხლებს და თავის დაქნევით თანხმობა განაცხადა.

არსიანის მთებზე აგრაგნილიყვნენ შავი ღრუბლები. ნიალის ველზე კოკისპირულად წვიმდა, ქორსატეველაზე კი მზე ძალუმად აჭერდა სხივებს.

დედოფლის კარვის შორიახლოს, გამოებათ გაოფლიანებული ცხენები მხედრებს. ჯიგდა-ხათუნის დანახვაზე, გოგინამ მზერა დაძაბა, მუხლმოყრით თაყვანი სცა დედოფალს და დაგრაგნილი უსტარი გადასცა.

დედოფალი მეფის წიგნს ეამბორა, ფრთხილად გაშალა და გვერდით მდგარ ჭაბუკს გადასცა. თორ-აბჯრიანს სახე გაებადრა, ერთი თვალის გადავლებით გადაიკითხა, მეფის ნაბეჭდური ტუჩებთან მიიტანა, ეამბორა და უკან დაუბრუნა დედოფალს.

– მეფე დავითი კოდიანზე ბრძანებულა, ირმებზე სანადიროდ. ორი დღის შემდეგ კი ირმის რქაზე გამართულ ერის კოტაობას დავესწრებიო, – იწერება ჩვენი ბატონი. იქნებ აჯობებს, ავჩქარდეთ, გული მიგრძნობს, საინტერესო სანახაობებს ვიხილავთ. მონღოლები კარგი მოისარნი არიან, ცხენდაცხენ ჰკვეთენ მქროლავ არწივს, ჯირითი კი ქართველების მოგონილიაო, იტყვი. ვერც სიმამაცეს დაუწუნებ, უძველეს მესხთა მოდგმას. ერის კოტაობა ყოველწლიურად იმართებოდა წინათ, რჩეული ვაჟკაცები იკრიბებოდნენ ყოველი მხრიდან. ბურთაობა, ჯირითი, ცხენოსნობა, ფარიკაობა, – რა არ ახსოვს ირმის რქის მთას, თუმცა, მთა ჰქვია, მაგრამ ვაკე ადგილია, მთების მწვერვალზე გაშლილი, დედოფალო, მთელი სამცხე ხელისგულივით მოსჩანს. წყაროებიც ისე ცივია, ძნელად თუ შეხვდებით მის მსგავსს, სადმე, დიდ ურდოში.

***

– ალბათ, შენც ყოფილხარ მისი მხილველი, მესტუმრევ ბატონო, – თქვა დედოფალმა და ქარის მიერ აფრიალებული ქალაღაია შეისწორა მარჯვენა ხელით.

– ჭაბუკობისას ვახლდი მამას, ერთხელ, შემთხვევით და, გულში ჩამრჩა მშვენიერი, ლამაზი სანახაობები.

გარს შემოხვეულ მლოცველთაგან ზოგი ცნობისმოყვარედ მისჩერებოდა დედოფალს, ზოგი სამოწყალოდ მოსულიყო ფეხშიშველი.

სადღაც, ურცხვად ხორხოცობდნენ სმის აზარტში შესული მოქეიფენი.

გოგინა გაფაციცებით მისჩერებოდა მოსაუბრეებსა და გრძნობდა, ვერც მდიდრული სამკაულებით მორთული აბრეშუმის ტანსაცმელი ფარავდა დედოფლის ველურ ბუნებას და ვერც თვითონ იოკებდა ბუნებისადმი ლტოლვას, წადილს.

ლამაზი იყო დედოფლის გვერდით მდგარი ვაჟკაცი. ახოვანი, ტანადი, მხარბეჭიანი, მოქნილი. შვენოდა ქამარ-ხანჯალი და მზით დამწვარ სახეზე გადახატული ულვაშები.

მისი სახელი ადრეც გაეგონა გოგინას. საქართველოს სამეფო კარზე მეფეს აუღზევებია, ვიღაც აზნაურის ნაშიერი, მესტუმრე ჯიქური და პირველ კაცად დაუსვამსო, დიდებულების დაუკითხავად. ზოგს ტაოდან გადმოხვეწილად მიაჩნდა იგი, ზოგი იმასაც ამბობდა, – უცნაური სახელის პატრონს, უცნაური ბედი იმიტომ დაჰყვაო, რომ ბიზანტიის კეისრის ხარჭანაშობს, სიჭაბუკის წლები, ტრაპიზონის კეისრის, მანუელ მეორის კარზე გაუტარებია, შემდეგ კი მონღოლებს ჩავარდნია ტყვედ და დიდ ურდოში რვა წელი დაუყვიაო. სწორედ აქ გაუთქვამს სახელი, როგორც სწორუპოვარ აქიმს და სიკვდილისაგან უხსნია ავი სენით შეპყრობილი მონღოლი უფლისწული ჯიგდა-ხათუნი. დიდ ურდოში შეხვედრია ჯერ დავით რუსუდანის ძეს, შემდეგ კი დავით ლაშას ძეს და თავისი მჭერმეტყველებით ისიც კი მოუხერხებია, რომ მანგუ ყაენს სწორედ დავით ლაშასძისთვის დაუმკვიდრებია პირველი მეფის საპატიო სახელი, ამიტომაც ეპყრობაო მეფე ასე პატივისცემით მესტუმრეს.

სამცხეში ბევრი მოელოდა მის სტუმრობას. გზადაგზა, დედოფლის ამალის საჭვრეტელად, მთელი სოფელი მოდიოდა ხოლმე. ზოგნი შეფარვით ტკბებოდნენ ლამაზი ვაჟკაცის ხილვით და, ჩუმჩუმად, დასცინოდნენ დედოფლის ერთადერთ მსხვილ ნაწნავს.

მესტუმრე ჯიქურს საქვეყნოდ გაუვარდა სახელი, როგორც ობოლთა და ღარიბ-ღატაკთა გამკითხავს. ქორსატეველაზე გამოჩნდა თუ არა, გუნდ-გუნდად დაედევნა ქვრივ-ობოლთა ბრბო. დედოფლის თანმხლებნი ძლივს აუდიოდნენ მოწყალების გაღებას.

მეფის სტუმრობამ სამცხეში ზოგს იმედი ჩაუსახა, – აუცილებლად ალაგმავსო ალასტნელის შვილი მონღოლთა გაუთავებელ თარეშს. ზოგი იმასაც ამბობდა, – არ შეარჩენს მეფე ჩვენს ესოდენ დამცირებას, საქართველოს ერთიანი ლაშქრით შეებრძოლება მონღოლებს და აღადგენს ძველისძველ ძლიერებასო.

გოგინას არასოდეს ენახა ამდენი მლოცველი ვარძიაში თავმოყრილი. ბერძნებიც კი მოსულიყვნენ დედაწულიანად და დიდი თამარის ფრესკის წინ პირქვე დამხობილნი, მხურვალედ ლოცულობდნენ.

ერთმანეთში არეულიყო სიმღერა და ცეკვა, ცხვრის ბღავილი და მთვრალების ღრიანცელი.

უცაბედად ატეხილმა ქალის განწირულმა კივილმა მიიპყრო ხალხის ყურადღება.

წამოიშალნენ მწვანე მოლზე გაშლილი სუფრებიდან მლოცველები და სირბილით მოაწყდნენ მტკვრის ნაპირს.

სიპ ლოდებში მოღრიალებდა შავტალღებაქოჩრილი მდინარე, თამამად ეხეთქებოდა ნაპირებზე ჩამწკრივებულ ბებერ ძეწნებს და გაბრაზებით მიიწევდა ალაგურის ჭალებისაკენ.

უეცრად მოვარდნილ მდინარეს მოეგლიჯა საცალფეხო ხიდიც და დაბლა მორევისაკენ მიაქანებდა.

ხიდზე მდგომი სამი მლოცველი ჩაეთრია ტალღებს. ორს ცურვა სცოდნოდა და ნაპირზე გამოსულიყო, ხოლო ერთი მათგანი, წყალს შთაენთქა უკვალოდ.

განწირულად ჰკიოდა შავოსანი ქალი. სახეს იხოკავდა ფრჩილებით. – რაზედ შემომწყრაო, ვარძიის ღვთისმშობელი, რაღა ვუთხრაო, თამარ, პაპაშენს, – მოთქვამდა სასოწარკვეთილი.

მლოცველთაგან ვერავინ ბედავდა მდინარეში შესვლას, ზოგიერთს უკვირდა, ვის უნახავს, მარიობა დღეს, მტკვარი ასე მოდიდებულიყო.

დრო აღარ ითმენდა. ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე წყალწაღებულის ზემოთ აშვერილი ხელი და გაშლილი თმები, შემდეგ ისევ იკარგებოდა მღვრიე ტალღებში... ცოტა კიდევ და, ადიდებული მდინარე, ხიდის მორებთან ერთად, დიდ მორევში ჩაითრევდა ქალს.

სწრაფად გაიძრო ტანიდან ჯავშანი გოგინამ, ქამარ-ხანჯალი, რომელიღაც პირველსავე მლოცველს მიუგდო, ერთი შესძახა და მღვრიე ტალღებში გადაეშვა გაბედულად.

წყლიდან თავი რომ ამოყო, დაინახა თუ როგორ მწყობრად მოდიოდნენ მისკენ ზვირთები. რამდენიმემ თავზე გადაუარა კიდეც. მერე მხარული გაჰკრა და ერთბაშად დაჯაბნა გაცოფებული სტიქიონი. ყურებში შხუილი ესმოდა. თამამად მიჰყვებოდა აზვირთებულ დინებას და გაფაციცებით იყურებოდა წინ.

ნაპირზე შეჯგუფებული ბრბო ხმამაღლა ყაყანებდა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვებოდა მდინარის სანაპიროს.

გოგინა გრძნობდა, როგორ შემოეტმასნა ტანზე ჩითის პერანგი. ფეხებში ებლანდებოდა ტალღებში მოქანავე ძეწნის ტოტები და წინსვლას უძნელებდა ტალღებთან მებრძოლს.

ცოტა კიდევ და მისწვდება წყალწაღებულის გაშლილ თმებს, მერე კვლავ მხარულს გაჰკრავს და ნაპირისკენ გაცურავს „ნადავლით“.

დაინახა, როგორ ამოატრიალა აქოჩრილმა ტალღამ მლოცველი. გრძელი ნაწნავები ჰქონდა და თეთრი, შიშველი მკლავები მოუჩანდა მღვრიე ტალღებში. ხელის ერთი მძლავრი მოსმით შეიმოკლა მანძილი. ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და თან ჩაჰყვა ფსკერისკენ. მარცხენა ხელი ჩაავლო მკვრივ სხეულზე შემოტმასნილ კაბას და ნაპირისკენ წამოიღო სათუთი არსება.

მწყობრად ეხეთქებოდნენ მის დაკუნთულ მკერდს გაშმაგებული ტალღები. ცოტა კიდევ და, ალბათ, ვეღარ გაუძლებდა გოგინას ნაომარი მკლავები ტალღებთან ჭიდილს, – მორევში ჩაითრევდა წყალი, ორივეს, მერე კი გვიანი იქნებოდა ყოველივე...

სიკვდილის მოახლოებამ თითქოს ორმაგი ძალა მისცა, ერთი კიდევ გაიბრძოლა და... ფეხები ფსკერს შეახო თუ არა, გადარჩენის იმედი ჩაესახა.

ბარბაცით წამოვიდა რიყიანი ნაპირისაკენ გოგინა, თან ხელში აყვანილი მოჰყავდა გულწასული ასული. სახეზე ჩამოშლოდა ხშირი თმა, ძალზე ნორჩი და ლამაზი იყო იგი, ეკლესიაში გამოხატულ ფრესკას ჰგავდა, თვალთა უპეები ჩალურჯებოდა, ფერმკრთალ სახეზე ნელა მოგორავდნენ წყლის ჭუჭყიანი წვეთები.

მის გამოქანდაკებულ მუხლისთავებს ფრთხილად გადააფარა გოგინამ კაბის ნაფლეთები და, ასე ეგონა, ზურგსუკან განვლილმა ნლებმა ერთბაშად შეუმოკლეს მანძილი. გვანცას ჰგავდა რიყეზე მწოლი. მასაც თეთრი მკლავები ჰქონდა და გამოქანდაკებული თითები, ისეთი, მეფეთა სასახლეში რომ ენახა. ოდნავ კეხიანი ცხვირი და შავი, გადახატული წარბები უფრო ლამაზს აჩენდა. ოდნავ ფეთქავდა და მშვიდად იწვა.

რიყიან ქვებზე თავქუდმოგლეჯილნი მორბოდნენ მლოცველები. პირველად შავსამოსიანი ქალი მოიჭრა, ქვებზე მისვენებულს რომ დახედა, ერთბაშად ფერი წაუვიდა: – თამარ! – დაიძახა და ზედ გადაემხო.

დაღლილობა თუ სიცივე ერთბაშად ძვლებში გაუჯდა გოგინას. ვერ გაეგო, რატომ აკანკალდა უცაბედად. ცოტა ხნის შემდეგ ბრბოს შუაგულში აღმოჩნდა. ულოცავდნენ გმირულ საქციელს, ეხვეოდნენ, ხელს ართმევდნენ. ის კი გაუთავებლად კანკალებდა.

– ვაჟკაცობას გიქებ, ჭაბუკო, ერთობ მომხიბლეთ თქვენი გმირობით. ამიერიდან მიგულეთ თქვენს ერთგულ მფარველად! – მოესმა ხმა და მესტუმრე ჯიქური დაინახა.

ვიღაცამ ქამარ-ხანჯალი შემოარტყა წელზე. თბილი ნაბადი მოახვიეს ტანზე და თუთის არაყით გაუმასპინძლდნენ.

– დედოფალი გიხმობსო! – შემოესმა. მერე ვიღაცები გვერდში ამოუდგნენ და ქორსატეველისაკენ გასწიეს.

ჯიგდა-ხათუნი აღტაცებას ვერ ფარავდა, ძვირფასი საჩუქარი უბოძა. მისი გონება კი ვერაფერმა გამოაფხიზლა.

--- თეთრი მკლავები ჰქონდა, გრძელი თმები, სანთელივით ჩამოქნილი თითები... ისეთი, მეფეთა სასახლეში რომ ენახა. როგორ ჰგავდა გვანცას... თამარი რქმევია... საიდან იყო ნეტავი. უნდა გავიგო, უნდა გავიგო მისი ვინაობა, თავში უტრიალებდა ეს აზრი და ვეღარაფერს ამჩნევდა ირგვლივ.

სიმარტოვე რა შეიგრძნო, ირგვლივ მიმოიხედა, მტკვრის ნაპირზე შაოსანი ქალების გუნდი შენიშნა, შუაში ის ასული ჩაეყენებინათ და ხევიდან ამოდიოდნენ.

– გვანცა, გვანცა, – ბუტბუტებდა გოგინა და ეშინოდა, სამუდამოდ არ დაეკარგა იგი. მერე ბავშვურმა ჟინმა აიტაცა, თვალები მოიფშვნიტა, ჩაფხუტი გაისწორა და შაოსანი ქალების გუნდისაკენ თავქვე დაეშვა...

გიორგი ჯვარიძე

***

გეყოფა, რაც რომ ეწამე
და რაც ცრემლები ღვარეო,
დროა, გატკბილდეს ოხერი,
სიცოცხლე დღემდინ მწარეო.
დროა, გაშორდეს ღრუბელი, –
გულისა დამამხობელი,
დროა, გაჩუმდეს სუყველა
შენი დღემდისინ მგმობელი.
დროა, აყვავდე, ვითარცა
უწინ ყოფილხარ ყვავებით,
დროა, რომ შესწყდეს ცხოვრება
უის, ვაგლახის, ვაების.
დროა, შენს მდუმარ ღაწვზედა
ღიმილმა გადაიაროს
და შენს მყურებელ სატრფომა
ქვეყნად ამაყად იაროს.

ხმა საიქიოდან

შენ ნუ ეცდები იმის გაგებას,
თუ სად მოვნახე მე მყუდრო ბინა,
მე გავათავე... სიცოცხლე განვვლე
და აღარ მიდგას აჩრდილი წინა...
რაც ქვეყნიერი მოქმედებანი
მე, მეგობარო, ვალად მიმაჩნდა,
ყველა აღსრულდა და ქვეყანაზე
კიდეც ვცოცხლობდი, კიდეც მიყვარდა.
აღსრულდა ყველა, მე ეხლა იქ ვარ, –
დანიშნულია სად პაემანი;
და აქედგანა აშკარად ვუმზერ –
რა არს ქვეყანა – ადამიანი.
ძმაო, ქვეყანა არ არს ამაო,
ის რაც დიდია და შვენიერი;
შენ ნუ შედრკები და აქედან მე
დაგეხმარები... ვით მიწიერი.
მაშ, ნუ შედრკები, გასწი ამაყად,
მე მომენდევი სულით და გულით,
მარტომ, უჩემოთ შენ დაამთავრე –
ორივემ, ერთად, რაც დავიწყევით.

რაზედ რად ვტირი...

ვისაც უყურებ, ყველას პირს ღიმი,
კმაყოფილება დახატულია
და მხოლოდ ჩემთვის ბედის კარები
მუდამ ჟამს, თურმე, დაკეტილია.
სამშობლო კერას მოწყვეტილი ვარ,
დავეხეტები უცხოეთს, მწირი,
ხან მშიერი ვარ, ხან ძალზე მცივა,
ამას ვიგლოვ და ამასა ვტირი...
ყველას მიზანი თავის ცხოვრების
მიუღწევია, ან და მიაღწევს,
მარტო მე დავრჩი, რომელს სვე-ბედი
არსად მისვენებს, მუდამ თან დამსდევს.
რას მემართლება, რატომ არ მიცდის,
რომ ავიცდინო თავიდგან ჭირი,
ცოცხალს საფლავში რაისთვის მმარხავს,
ამას ვიგლოვ და ამასა ვტირი.
ვიცი, გამკიცხვენ, ამას მეტყვიან:
„შენ თავის მოვლა არ შეგძლებია,
უკუღმართ ბედთან, ჩარხის ტრიალთან
პირისპირ შებმის შეგშინებია“.
მე კი მივუგებ: „როგორ ვიბრძოლო,
ოდეს სიმშილით მიშრება პირი,
სიცივისაგან ვერ გავნძრეულვარ,
ამას ვიგლოვ და ამასა ვტირი...

რა მასმევს ღვინოს?

ოდეს მოღლილსა და მოქანცულსა
რბილ სარეცელზე დამეძინება,
სიზმარში ვხედავ წარსულ ცხოვრებას
და მომავალი მომაგონდება.
ნეტა რას ველი კვლავ ცხოვრებიდან?
მეტი სიცოცხლე რას მომიმატებს?
რა მომიტანა ლომებთან ყოფნამ,
რას გამოვრჩები ეხლანდელ კატებს?
გელაქუცება, პირში შეგაქებს,
ბოროტ განზრახვის დასამალავად,
მაგრამ ზურგსუკან ორმოსა გითხრის
შენი უდროვოდ დასამარხავად.
ერთს სულ ბევრი აქვს, მეორეს – არა,
ეს ბურჟუაა, ის პროლეტარი,
ამას წავართვათ, იმას გადავცეთ,
სოციალიზმი სიმართლე არის?!
მაგრამ, რას ვხედავთ? კი გამოართვეს,
რადგან დღეს ძალა იმათ ხელშია,
მაგრამ ღარიბს რა? რა მოემატა?
ყველა ჩალაგდა მათ ჯიბეშია!
ჯიბე ივსება, აღარას იტევს,
თანაც გატენვა არ არის ძნელი,
თუ ხალხს არ გაჰგლეჯს, არ გამოართმევს,
მაშინ მითხარით, რათ ჰქვია გველი?
ამის მხილველმა რით გავიხარო,
ან მოსვენებით ვით დამეძინოს,
სულს ეს მიშფოთებს, ზიზღსაც ესა მგვრის,
სწორედ ეს არის... ეს მასმევს ღვინოს!...
სადაც წახვიდე და წამოხვიდე,
ყველგან სიმრუდე, ყველგან გველობა;
თუ გსურს ცხოვრების გემო იგემო,
უნდა დაიწყო სხვისებრ მელობა.
ყველა შეაქო, ყველას მოევლო,
პირში მართალი უთხრა არავის;
აშკარად ხედავ, ბოროტსა სჩადის,
მაგრამ უთხარი: „სხვა ფრივ არა ღირს“!
ხედავ კაცს – ძარცვავს, ლუკმას უმწარებს,
საფლავში მარხავს, ცოცხალს მკვდრებში რევს,
მაინც უთხარი: „ადამიანო,
მაგ სიმართლითა მოექეცი სხვებს“!
ბოროტს ხედავდე, მაგრამ სიმართლე
ვერ გაგებედოს წარმოსთქვა ენით,
რა უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება,
ან მომავლისგან რაიღას ველით.
ამის მხილველმა რით გავიხარო,
ან მოსვენებით ვით დამეძინოს,
გულსა ეს მიკლავს, სულს ეს მიხუთავს,
სწორედ ეს არის... რომ მასმევს ღვინოს!..


ნახ. მაია დიაკონიძისა

სატრფოს

ბალზამი ხარ სასიცოცხლო
და ნექტარი ჩემი სულის,
არავინ მყავს შენზედ კარგი,
ოცნება ხარ ჩემი გულის.
ბატონი ხარ – იდეალი,
ჩემი ნორჩი სიყვარულის,
ოჰ, კეკლუცო, მალამო ხარ,
უბედურის, დაჩაგრულის.

მაროს

ყვავილებში ვარდს უმზირე
და ქალებში გნახე შენა,
შენმა ეშხმა-სილამაზემ,
ახალციხე დაამშვენა.

მასვე

ვით ყვავილთა სამეფოში
ვარდი არის ღირსი ქების;
ისე მაროს სიტურფეში
ვერა ქალი შეედრების...

წვიმა გაზაფხულზე

წვიმა მოდის, კოდის წვიმა,
ცა ღრუბლებით შემოსილა,
წყვდიადს ებრძვის მზის სხივები,
ჰა, მაისის ტურფა დილა.
მზის სხივები წვიმის წვეთში
საწნახელათ ჩაგრეხილა
და ათასფერ ცისარტყელათ
გვეჩვენება ტურფა დილა.
ცას ღრუბლები ჩამოსცილდა,
წვიმამ იკლო, გადიდარა,
და ჩემს გულსაც მწარე ფიქრი
ჩამოშორდა, გადიყარა.
არე-მარე მოიწმინდა,
გადირეცხა დილის წვიმით,
ბულბულმა ვარდს მიაშურა
ალერსით და თან სიცილით.
ყველა ხარობს, ყველა ნაზობს,
პირში უდგას რასაც სული,
მას შეჰხარის, ყველას ატკბობს
მომავალი გაზაფხული.
და ჩემს გულსაც, ნაღვლით სავსეს, –
გაზაფხულზე დილის წვიმა,
ვით მალამო დაჭრილ სხეულს
სამკურნალოდ მოევლინა.

***

მეც მინდა რომ ქვეყანაზე
აღარ იყოს დაჩაგრული,
მინდა ხალხს არ აწუხებდეს
სიღარიბე, გინა ფული.
ზოგს ბევრი აქვს, ზოგს სულ არა,
ზოგი კვნესის, ზოგი ვიშობს,
ზოგს განცხრომა, სიდიადე,
ზოგი ლუკმას ითვლის, შიშობს.
მაგრამ მითხარ, მთა და ბარი
ვის ძალუძს რომ გაასწოროს,
ვის ძალუძს, რომ ტანჯვა-გლოვა
უბედურსა მოაშოროს?
ოცნებაა-უტოპია...
რომ გასწორდეს მთა და ბარი,
რომ ქვეყანა შეიცვალოს,
არ ისმოდეს გლოვის ზარი.
და ამიტომ, სანამ ქვეყნად
ადამიანს ეცხოვრება,
დამჩაგვრელი-დაჩაგრული
არ შეწყდება – სულ იქნება.
და როდესაც ქვეყნად მოსპო
მთლად სიცოცხლე – არ იქნება,
მაშინ ტანჯვაც და მჩაგვრელიც
თავისთავად მოისპობა.

***

ოდეს მკლავში ძალა მქონდა
და სხვის ბარგი არ ვიყავი,
ოდეს ტანი მივარგოდა,
მივარგოდა ოდეს თავი.
ოდეს ჩემთვის ვმუშაობდი
და ვზიდავდი ტვირთსა მძიმეს,
მე ვუყვარდი, ყველას ვსურდი,
ჩემთვის არ-რა შეიშურეს.
დღეს მოვხუცდი, არ მივარგა
აღარც მკლავი, აღარც თავი,
ფეხებს ძლივას მივაბიჯებ,
შესაბრალი, საცოდავი.
ვერ ვმუშაობ,
ვერას ვზიდავ
ვეღარც მსუბუქს, ვერცა მძიმეს,
ჩემთვის ყველა შეიშურეს,
ლუკმა პურიც დამიმძვირეს!

***

გათენდა, ბინდი შეირყა,
დაიბნა წყვდიადთ სამეფო
და ცხოვრებისა მორევში
მინდა ოცნება ვამეფო...
მინდა ავაგო გოდოლი –
ცის სივრცე მით გადავლახო,
მინდა ავფრინდე წყვდიადში,
ვარსკვლავებს ხელი შევახო!
მინდა შეირყეს სამყარო,
დაინგრეს ოქროს ტახტები
და ქარიშხალმა შელახოს
ამქვეყნიური ხატები.
მინდა შეჩერდეს ცხოვრება,
სისხლი აღარა სჩქეფავდეს
და ადამიანთ უფლებებს
ფეხქვეშ აღარა სთელავდეს!
მინდა გადიწვას ტყე-ველი,
აზვირთდეს ზღვა და მდინარე
და დავინახო მაშვრალთა
სახე მომცინარ-მღიმარე.

***

ვტიროდი... ცხარე ცრემლები
თვალთაგან წყაროდ მდიოდა,
თავში ათასი აზრები
და გულში სევდა ღვიოდა.
ნეტა რათ მოველ, რისთვის მშვა
დედამან ვაით, წვალებით?
თუ ისევ მიწათ ვიქცევი,
გაუხილავი თვალებით!
რას ველტვი? რისთვის ცოცხალვარ?
ვიბრძვი, სისხლს ვაფრქვევ რისათვის?
ნუთუ სისხლის ზღვა მე ან სხვას,
სჭირდება ცხოვრებისათვის?
ნუთუ გაკიცხვა, შემუსვრა,
დაგმობა მეზობელისა
არის მიზანი ცხოვრების
მოსაგონებლად ძველისა?
და ამ აზრებით გაჟღენთილს
თვალს ცრემლი არა მშრებოდა
და იდეალის ძებნაში
უბედურს სული მხდებოდა.
ვკვნესოდი... სატრფოს ვუხმობდი,
მინდოდა?.. რისთვის, ნეტა რად?
ნუთუ მის სულის სხივები
გულზე მომხვდება ნექტარად?
და ჩამეძინა... სიზმარში
ვნახე არსება ციური,
ვერ ავსწერ მისსა სიტურფეს,
ძალა არ შემწევს ღვთიური,
მითხრა: „რას კვნესი, თავს იკლავ,
სად ეძებ იდეალსაო,
ან რად იმწარებ სიცოცხლეს,
ან რად უმწარებ სხვასაო...
ადექი, ტყვილი ოცნებით
არ გაიტეხო გულია,
წარმავალია სიცოცხლე,
უკვდავი – სიყვარულია!
და მეც ვუგალობ სიყვარულს,
ვუგალობ აღფრთოვანებით,
რადგან იდეალს მის გარდა
ვერ ვხედავ ძალით და ნებით!

ზამთარი

დამიზამთრდა, შეშა არ მაქვს
და თვალს მომდის ცრემლი ცხარი,
რა კარგია მსუქან ქალის
რომ გამხადა ეხლა ქმარი!
ჩამეკვრება, ჩავეკვრები,
გავათბობ და მეც გავთბები,
ხვევნა, კოცნით და ალერსით...
ბედნიერი შევიქნები...
ცოლად უნდა გყავდეს ქალი
მსუქანი და არა თხელი,
აღარც შეშა მოგინდება,
არც ღუმელი – „ფეჩი“ ცხელი.
რადგან „ფეჩი“, ცხელი „ფეჩი“,
მსუქან ქალსა დააქვს თანა,
მისი პოვნა არც ძნელია
და არც დიდი გამოცანა.
მხოლოდ ცოტა დაგვჭირდება
განძრევა და ხელის ქნევა
და „ეშმაკი ჯოჯოხეთში“
თავისთავად ნაზად შევა...
დამიზამთრდა, შეშა არ მაქვს
და თვალს მომდის ცრემლის ღვარი,
რა კარგია მსუქან ქალის
რომ გამხადა ეხლა ქმარი...

1917 – 1921 წლები

წმინდა ნიკიფორე

2007 წელს ხელისგულზე იოლად მოსათავსებელი ბროშურა – „წმინდა ნიკიფორე“ გამოვეცი; ამ საქმეში დიდი თანადგომა გამინია ჩემი ყმაწვილკაცობის მეგობარმა – ***ნუგზარ სარჯველაძემ.***

ბატონი ნუგზარის მამა, აწ განსვენებული დიდებული კაცი ***ნიკიფორე სარჯველაძე*** გახლავთ, – პიროვნება, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს ძირძველი მხარის, სამცხე-ჯავახეთის ასაღორძინებლად და ბევრი კარგი საქმე გააკეთა ამ მხარეში მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების გასაძლიერებლადაც...

ამ წუთისოფელში ადამიანთა შორის ურთიერთობის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ჩვენი ყოფის უამრავ მთავარ მხარეთა შორის.



დღევანდელი ადამიანი, ხშირად, ადრინდელისაგან საყურადღებო ნიშნით განსხვავდება, – მომეტებულად თვითდაჯერებულია, არ ერიდება ტყუილს, სხვათა შეურაცხყოფას და უზომოდ მკაცრია გარშემო მყოფთა მიმართ. სამწუხაროდ, ადამიანები ხშირად შეურიგებლობის ცოდვაში ვეფლობით. ასეთებს განერიდება უფალი, რადგან სძაგს ულმობელი გული.

ბრძენი პიროვნებები ადრეულ პერიოდშივე ბრძანებდნენ:

– „შეიძლება მონობაში იყო, მაგრამ თავისუფლება ვერ წაგართვან და შეიძლება თავისუფლებაში განცხრომით ცხოვრობდე და მონა იყო, თანაც იმდენი ბატონის, რამდენი მანკიერი თვისებაცა გაქვს“.

სწორედ ამიტომაც, სრულიად საქართველოს ბრძენი კათალიკოს-პატრიარქი *ილია მეორე* გვმოძღვრავს და მოგვმართავს ასეთი სიტყვებით:

– „... მაშ, ისწრაფეთ შერიგებისა და ერთსულოვნებისაკენ, ისწრაფეთ ერთმანეთის მოსმენა და პატიება, ისწავლეთ საკუთარი ცოდვებისა და შეცდომების დანახვა და სინანული და თქვენი ცხოვრება სწორი გზით წარიმართება.“

ამ ნათელმოსილი სიტყვებიდან გამომდინარეა, დღევანდელობის ფონზე, საოცრად სამაგალითო და საინტერესო *წმინდა ნიკიფორეს* მიერ განვლილი ცხოვრების გზა, რომელიც ჩვენთვის სიყვარულის, თავმდაბლობის, ურთიერთმიმტევებლობისა და უფლის ერთგულების საუკეთესო ნიმუშია.

III საუკუნეში ანტიოქიაში ცხოვრობდა ღვთისმოშიში, საოცრად თავმდაბალი და ზედმიწევნით პატიოსანი ერისკაცი, რომელსაც სახელად *ნიკიფორე* ერქვა.

იმ დროისათვის ანტიოქია მძლავრი რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.

245-259 წლებში რომის იმპერატორი *ვალერიანე*, ხოლო 260-268 წლებში *გალიენი* იყო. ქრისტიანთა მიმართ სასტიკი მოპყრობით გამოირჩეოდა ორივე იმპერატორი. მათ მრავალი ქრიატიანი აწამეს და სიკვდილითაც დასაჯეს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ჭეშმარიტი სარწმუნოების მიმდევარნი იყვნენ და უარყოფდნენ იმხანად მთელ იმპერიაში გაბატონებულ კერპთაყვანისმცემლობას.

წმინდა ნიკიფორეს ჰყავდა ყველასაგან გამორჩეული უახლოესი მეგობარი, ცნობილი მღვდელი, სახელად *საპრიკიუსი,* რომელიც, რაღა თქმა უნდა, უსაზღვროდ ღვთისმოყვარე და საოცრად კეთილშობილი პიროვნება იყო.

ამ ორი ადამიანის მეგობრობა განსაკუთრებული სიახლოვითა და გულწრფელობით გამოირჩეოდა. მათ ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი.

შეშურდა სატანას მათი უმწიკვლო დამოკიდებულება უფლისა და ერთმანეთისადმი და გადაწყვიტა დაეშორებინა ისინი, როგორც ღმერთისაგან, ასევე ერთმანეთისგანაც. ამიტომ განიზრახა მტრობა ჩამოეგდო მათ შორის.

გავიდა ხანი.

სატანამ თავისას მიაღწია და მისი ცდუნებით ორ უახლოეს მეგობარს – ნიკიფორესა და საპრიკიუსს შორის გაქრა, დაირღვა ტრადიციული თბილი ურთიერთობა და იგი ახლა უკვე მტრობამ და სიძულვილმა შეცვალა.

ამგვარად, ორი ერთმანეთისათვის უძვირფასესი ადამიანი ეშმაკის მონდომებით, მოქიშპედ და ურთიერთმოძულედ იქცა.

პირველი გონს მოეგო ნიკიფორე, რომელმაც მოუწოდა საპრიკიუსს ძველი მეგობრობის აღდგენისაკენ და თავმდაბლად შენდობაც კი სთხოვა... მსგავსი თხოვნით კიდევ მრავალგზით მიმართა ნიკიფორემ საპრიკიუსს.

ყოველივე ამის მიუხედავად, მღვდელმა არ შეირიგა ნიკიფორე და კვლავინდებურად გულცივად დარჩა მასზე.

მალე, რომის იმპერიაში განაახლეს ქრიატიანთა სასტიკი დევნა.

ანტიოქიის სასამართლოში პირველი მიიყვანეს მღვდელი საპრიკიუსი, რომელმაც მრავალი დაშინებამუქარის მიუხედავად, მტკიცედ აღიარა თავისი არჩეული გზა და ქრისტიანობა. ამისათვის, სიკვდილის სასტიკი განაჩენი გამოუტანეს მას.

დადგა საპრიკიუსის სიკვდილით დასჯის დღე.

ნიკიფორე, რომელსაც უკვე დიდი ხანი მიტევებული ჰქონდა მღვდლისთვის ცოდვა, შეშფოთებული ძლიერ მტკივნეულად განიცდიდა მეგობრის მოახლოებულ ფიზიკურ აღსასრულს; თუმცა, რაღა თქმა უნდა, ეამაყებოდა ისიც, რომ საპრიკიუსი ასე ერთგულებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას.

და აი, გაიყვანეს საპრიკიუსი განაჩენის სისრულეში მოსაყვანად.

ამჯერადაც, თვალებში ცრემლმორეული ნიკიფორე კიდევ უფრო მეტი გულმხურვალებითა და სიწრფელით სთხოვდა მეგობარს შერიგებას, შენდობას, მათ შორის მომხდარი გაუგებრობის გამო და ძველებური ძმობის აღდგენისკენ მოუწოდებდა; თან ასე მიმართავდა:

– „შენ, მალე წმინდა მოწამე გახდები. უფლის გვირგვინს მიიღებ და გევედრები, ნუ დამტოვებ პატიების გარეშე.“

მღვდელმა, სამწუხაროდ, არც ამჯერად შეისმინა ნიკიფორეს გულწრფელი ვედრება და გული გაიქვავა.

მისი ასეთი მდგომარეობა უდავოდ უტყუარი ნიშანი გახლდათ იმისა, რომ ხუცესი მოყვასის მიუტევლობისა და ამპარტავნების საშინელ სენს ჰყავდა შეპყრობილი.

რასაკვირველია, უსულგულოდ გაჯიუტებული მღვდელი დიდხანს ვეღარ უერთგულებდა თვით მაცხოვარსაც კი და სარწმუნოებას განუდგებოდა...

და, მართლაც, ძალიან სწრაფად ასე მოხდა კიდეც.

მოწამეობრივ აღსრულებამდე სულ მცირე ხნით ადრე, ღვთის მადლი ერთბაშად განეშორა საპრიკიუსს, გაქრა მისი სიმტკიცე, რწმენაც და ღმერთისადმი ერთგულება ფიზიკური სიკვდილის შიშმა შეცვალა, უარყო ყოვლადწმინდა სამება და მსხვერპლი შესწირა კერპებს. ერთი სიტყვით, კერპთაყვანისმცემლად იქცა და უფლის სასუფეველში საუკუნოდ დამკვიდრებას, ცოდვებით აღვსილ წუთისოფელში განცხრომით, უსინდისო ყოფა არჩია, რითაც სამუდამოდ დაიმკვიდრა სული ბნელეთში.

ნიკიფორე აღაშფოთა მღვდელ საპრიკიუსის სამარცხვინო, ულირსმა საქციელმა, ერთბაშად კიდევ უფრო მომეტებულად აღივსო უფლის მადლით და ხმამაღლა, ამაყად, უშიშრად, შესძახა იქ თავშეყრილი ხალხისა და ჯალათების გასაგონად:

– „მე ქრისტიანი ვარ და მწამს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელიც უარყო საპრიკიუსმა. მე დამსაჯეთ საპრიკიუსის ნაცვლად!“

მომხდარი ამბის შესახებ სასწრაფოდ მოახსენეს მხარის მმართველს. მან განკარგულება გასცა გაენთავისუფლებინათ ხუცესი საპრიკიუსი და მის სანაცვლოდ თავი მოეკვეთათ ქრისტეს მორწმუნე ნიკიფორესათვის.

წმინდა ნიკიფორემ უდიდესი რწმენითა და უფლისმიერი მადლით, დიდი სიხარულით და სიამაყით მიიღო სასტიკი განაჩენი და ისე აღესრულა.

ახდა სიტყვები წმინდა წერილიდან:

– „უფალი ამპარტავანთ შემუსრავს, ხოლო მდაბალთ მიანიჭებს მადლსა.“

წმინდა *იოანე ოქროპირი* გვასწავლის:

– „უფალი არასოდეს უარყოფს წრფელ სინანულს, – სათნოების გზაზე დაბრუნების მსურველი, თუნდაც უკიდურეს ბიწიერებამდე დაცემული ადამიანისა. ღმერთი ზურგს არ აქცევს ასეთ ცოდვილს, პირიქით, იახლოებს მას და ყოველივეს იქმს, რათა თავდაპირველი პატივი დაუბრუნოს და უმეტესიც მიაგოს.“

წმინდა ნიკიფორე გვასწავლის სწრაფვას მიმტევებლობისა და ერთსულოვნებისაკენ, ურთიერთსიყვარულს, მოსმენასა და შენდობას, შთაგვაგონებს ყველაზე მთავარს, – ღვთის უსაზღვრო თაყვანისცემასა და ერთგულებას, გვმოძღვრავს, ვიყოთ საკუთარი შეცდომებისა და ცოდვების დამნახველნი; ხოლო მათი უნებურად ჩადენისას შეგვეძლოს სინანულით თავმდაბლად მონანიება, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში წარიმართება ჩვენი ცხოვრება გზაკეთილად და მართლად.

ალბათ საჭიროა, აქ გავიხსენოთ მაცხოვრის ჯვარცმა ორ ბოროტმოქმედთან ერთად. *იესო ქრისტე* მის წინააღმდეგ უსამართლოდ და უმიზეზოდ გაბოროტებულ ხალხზე მაშინაც კი ასე ამბობდა:

– „მამაო, მიუტევე ამათ, რადგან არა იციან, რას სჩადიან.“

ურწმუნონი დასცინოდნენ კიდეც იესოს:

– „თუ მართლა ღმერთია და სხვების მხსნელი, იხსნას საკუთარი თავი.“ ამასვე გაიძახოდა მაცხოვრის გვერდით ჯვარცმული ერთი დამნაშავეც, ხოლო მეორე სიკვდილმისჯილი ეუბნებოდა მას:

– „ღმერთის მაინც არ გეშინია, რადგანაც მისებრ დასჯილი ხარ? ჩვენზე ახია: რაც დავთესეთ, იმასვე ვიმკით, ხოლო მას არაფერი ცუდი არ უქნია,“ და იესოს სასუფეველში მოხსენება სთხოვა. იესომ მაშინვე მიუგო:

– „დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში.“

წმინდა ნიკიფორე უფლისმიერი სიყვარულით იღწვოდა წუთისოფელში. შეეძლო შენდობა და შერიგება, შეცდომებისა და ცოდვების დანახვა და მათი პატიება. მთელი მისი ცხოვრება ამ მადლმოსილი გზით წავიდა, თავმდაბლობისა და რწმენისადმი უსაზღვრო თავგანწირვას ქადაგებდა.

წმინდა ნიკიფორემ ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი ზეციურ სასუფეველში, საიდანაც ზრუნავს ჩვენი სულიერი სიჯანსაღისათვის და გვმფარველობს ღვთის წინაშე!..

მსოფლიო მართლმადიდებლურმა ქრისტიანულმა ეკლესიამ წმინდა ნიკიფორეს ხსენების დღე 22 თებერვალი დააკანონა.

ლევან გვეტაძე

„ფუძეობის“ დღესასწაული ბაკურიანში

სილამაზე ყველაფერშია, მზის მცხუნვარე სხივებში, იმ ღრუბლებში, სადაც ზოგჯერ ეს ცხელი მანათობელი თვალს მოეფარება, იმ ადამიანებშია, რომლებიც თავისუფლებას სწორედ აქ ბუნების წიაღში აღმოაჩენენ – ლაღობენ და სიყვარულს ერთმანეთს უზიარებენ.



ამ დღესაც ასე იყო. სახალხო დღესასწაულმა „ფუძეობამ“ ეს ადამიანები ერთად შეკრიბა, მშობლიურ კერას – ფუძეს დაუბრუნა. თავისი ტრადიციების სულში ჩაახედა და ღონისძიებების მთავარ გმირებად აქცია.

აქ შეხვდებოდით ყველაფერ ეროვნულს – ქართულ ნაკეთობებს, ტრადიციულ ნამუშევრებს, აი ისეთს მამაპაპებმა თავიანთ შვილიშვილებს რომ გადასცეს, მათ კი, ეს ტრადიციები ჩვენამდე შემოინახეს.

რეგიონული ფოლკლორული ფესტივალის „ფუძეობის“ დღესასწაულის აღნიშვნა წელს დაბა ბაკურიანიდან დაიწყო. მრავალფეროვანი პროგრამის ფარგლებში მოეწყო როგორც კულტურული, ასევე სპორტული ღონისძიებები.

დღესასწაულის საინტერესო ნაწილს მარკეტი – „აწარმოე საქართველოში" – წარმოადგენდა. მოეწყო ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, სამცხე-ჯავახეთის მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტების ეთნოგრაფიული კუთხეები და სხვ.

„ფუძეობის“ დღესასწაულის შემადგენელი ნაწილი იყო ფოლკლორის მოყვარულთა კონცერტი. სპეციალურად მოწყობილ სცენაზე ქართულ სიმღერას, ქართული ტრადიციული ცეკვა ცვლიდა და ამ დღესასწაულსაც საოცარ მუხტს სძენდა.

მხარის მუნიციპალიტეტების ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა მაყურებელი ნამდვილად მონუსხეს და მხურვალე აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ფოლკლორის სფეროს დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა სოფელ ტიმოთესუბანში მცხოვრებ **თამარ ალბორიშვილს** და მას სპეციალური სიგელი გადასცა ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსმა **მარინა ხუჯაძემ.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტის მერიების წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები საქართველოს ყველა რეგიონიდან.

ღონისძიება **ნიაზ დიასამიძისა** და **33 ა**-ს კონცერტით დასრულდა.

„ფუძეობა“ კომპანია „Geotourist“-ის საავტორო სოციალური პროექტია, რომელიც მუნიციპალიტეტებისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პროექტ „Check in Georgia“-ს მხარდაჭერით ხორციელდება და იგი ემსახურება რეგიონიდან წასული ადამიანების ფუძეზე დაბრუნებას.

ლონდა ფილიშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ 76 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, კრიტიკოსი, პოლიტიკური სატირის ფუძემდებელი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი და საქართველოს მწერალთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე

თამაზ წივწივაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გონება და ყოფა

რეზო ადამია

(დასასრული. დასაწყ. წინა ნომერში)

უსასრულოა სამყარო, მაგრამ უფრო ბევრად მეტი დაუსრულებლობაა ქვეყნიური გონდამბინდველი იდუმალი სავსეობის უხილაობა.

საოცრებათა სიმრავლის უძირო საკვირველებანია ყოველივე, რომლითაც გადავსებულ-გადატენილია ხილული ვარსკვლავეთის უხილავი უკიდეგანობა. აქვე მოვიყვან ფიქრმიუწვდომელ მაგალითს: მაგრე რომ არა, საიდან გამოგვეცხადებოდა დედამიწაზე მეცნიერულად შეუსწავლელი, ცოცხალი ოქროს ფონდი, ორი ათას ხუთასი, ერთმანეთისაგან ძირფესვიანად განსხვავებული ენა და მეტყველება?

მართალია, ბუნების მრავალფეროვან ლანდშაფტს, ოკეანეთა – ზღვა და მდინარეთა სიახლოვეს: განსაკუთრებულმა კლიმატმა გარემოს უწყვეტმა ხმამ – ქარმა, დაფანტულმა სივრცის მუსიკამ და ზეციურ სხივთა იდუმალმა ზეგავლენამ, საკუთარი მეტყველება შესძინა ადამიანთა ჯგუფებს და ხანგრძლივ დროთა ჟამში გამოუმუშავა თვითმყოფადი არქაული ბგერა და გაუმართავი სიტყვა, შემადარ ამყოლი მიმიკით და სხეულის მრავალმხრივი მოძრაობით, მაგრამ ყოველივე მაინც, როგორც მოგახსენეთ, ზენაარიულიდანაა მტკიცედ ჩამოყოლილი.

ამჟამად უძველეს ხელოვნება-კულტურა-ცივილიზაციებზე თავს ვიკავებ.

ზეშთაგონებით უახლოესი საუკუნეების ღვთიურმა კომპოზიტორებმა გენიალური მუსიკა გამოიხმეს განუზომელ-მიუწვდომელი ხმოვანი ზეცის უმდიდრესი სივრციდან. დიდმა მეცნიერებმა ჩამოათრიეს მომაკვდინებელი ატომიც (აქ ისევ ბოროტებამ შეუშხაპუნა ადამიანის გონებას თავისი მომაკვდინებელი სატანური გესლი). თანვე სამშვიდობო ტელეეკრანი, რადიო და სხვადასხვა ტექნიკით ცაში გაფანტულ ხმათა გამომხმობი. მიწიერებასთან ცოცხალ შეზავებით ვიზიდავთ ლექს-შედევრებს და პროზაულ ბრძნულ გენიას. აგრეთვე მოგვეწოდება ქანდაკების უთვალავი ინდივიდუალური უმკვრივესი პლანეტებისეული ფორმა სიახლე სტილი-შემადარი. რა ვილაპარაკო საოცრება არქიტექტურაზე, კინოსა და თეატრზე, ოპერის მომღერლებზე, რეჟისორებზე, ასტრონომებზე და კოსმოსნათელმხილველებზე... მაგრამ ფერწერაზე, როგორც მხატვარი, გამორჩეულად ვიტყვი მის განუმეორებელ ზეციურობაზე, ღმერთსა და კაცთ შუამავლობაზე. დავიწყოთ ლეონარდოთი, მიქელანჯელო, რაფაელი, ბოტიჩელი, მაზაჩო. საოცრება ბიზანტიურ-ქართული ხატები და ღვთიური ეკლესია-ფრესკებით. დღესდღეობით კოსმოსში პირდაპირ უხილავი სიახლე ფერებით და ფორმებ-ხაზებით რომ გაგვიყვანა გენიალურმა ვასილი კანდინსკიმ, ხუან მირომ, სალვადორ დალიმ; არ გამომრჩეს დიდი კლასიკოსი რემბრანდტი, ცის სიღრმეებში გამავალი ელ გრეკო. ფერწერის მეფე ტიციანი, კრანახი, მიუწვდომელი გოია, ბრეიგელი, სულ-გონ უშუალობა ფიროსმანი. შევიხედოთ ანტიკურ ხელოვნებაში და ვიხილავთ ჰომეროსს, ფილოსოფოსებს – პლატონს, სოკრატეს, არისტოტელეს და უფალ ფიდიასს, პრაკსიტელს, ვენერა და ნიკეა მილოსელის უცნობ ავტორებს. ახლა კი შევჩერდები კოსმოსური ფერწერული არნახული კონტაქტი საოცრება მზე ვან გოგით. სუყველა, ზემოთ მოკლე სიით ჩამოთვლილ გენიათ ზეცა – უფალი მართავდა და კვებავდა, უძირო სავსეობა და უსაზღვრო. საკვირველ შემოქმედებით წყარო-წარმოსახვებს უხილაობიდან ჩამოაქვს უამრავი უნიკალური ღვთიური სიმდიდრე, მაგრამ ყოველივე ოკეანიდან ერთი კოვზი წყლის ამოღების ტოლიც არ არის ვარსკვლავეთური განძთაღურიცხველობის და ქვეყნიერების მრავალმხრივი ამოუწურავი ნიჭ-მეხსიერებისა.

მომავალში, უცილოდ, აინშტაინის დონის თუ უფრო დიდი მეცნიერები გამოიგონებენ აღმაშფოთებელ იდუმალ ელექტრო-რენტგენულ აპარატებს; გარდასულთა სულებთან დამაკავშირებელს და აწ დასაბადებელ ყრმათაც უნაკლოდ შეისწავლიან, რითაც დედამიწაზე ახალ სიცოცხლესთან ერთად, მოსვლა არ გამოცხადდების მეცნიერულად ჩარევის შესაძლებელ საკითხებსაც თანამედროულად დაამუშავებენ და მერმე მართლაც შეიძლება მოხდეს სუფთა ზნეობრივი წმიდად მიწიერი დახარისხებები; რითაც ბოროტთვისებიან სულთ არ მიაკარებენ მომავალ ბედნიერ დედას და ქვეყანა შეივსება კეთილისმყოფელი პიროვნებებით აი და მაშინ იქნება უფლისმიერი სინთეზი კულტურა-ცივილიზაცია მიუწვდომელი სრულიად წმიდანური ფორმა-სახით...

წარსულში კაცობრიობის ყოველგვარი გენიის მიღწევები უახლოეს პლანეტებთანაა მჭიდრო კავშირში, მაგრამ მომავალი მეცნიერ-სწავლულთა და ხელოვანთა ქმნილება-გამოგონებები სრულიად უფრო ღრმა და განსხვავებული მიუწვდომელ-თვალთ უხილავ სამყაროსეული იქნება. მთავარია, ავისმზრახველთა თანდაყოლილმა ბოროტმოქმედებებმა არ შეაფერხოს მომავალი ათასწლეულის მრავალ კეთილ გამოგონებათა კულტურა, ხელოვნების და ცივილიზაციის სიახლეების სვლა...

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ფიქრობს და მართებულადაც იტყვიან, როგორ და რისიმიერი ძალისხმევით ცხოვრობენ და სუნთქავენ უნიჭო ათეისტები, ეშმაკეულნი და უკეთურნიო. ამ ცნობისმოყვარეობით სავსე შემთხვევაში პასუხად ბრძენნი იტყვიან უფლის უსაზღვრო სიყვარული და სიკეთე მფარველობს განურჩევლად მათაც. ღმერთი დიდსულოვნად მიუტევებს თითოეულსაც, ვინც ბარბაროსულად დაფლითა ჭეშმარიტება და უმოწყალოდ განდევნა ზნეობა-სიკეთე-სიყვარული. ნამდვილად რომ უზენაესის ლმობიერება და მიმტევებლობა, შეიძლება კაცთა მოდგმის ღვთიური დიდი ათასწლოვანი გამოცდაც იყოს; რაც ხილულ-უხილავი ყოველივე სამყაროსეული და ზენაარის მთლიანობის მოკაშკაშე მიწიერთათვის გაუკეთესობის სახეა. სრულიად ქვეყნიერების და ჩვენი პლანეტის ყოველ ცოცხალ არსებათა მხსნელ ცისფერ ფარდაგად გადაფარებული. უთუოდ მხოლოდ სიკეთის უზენაესისეული ზესიდიადე დათრგუნავს ადამიანის სულის თანდაყოლილ თითქმის განუკურნებელ ბოროტად დაჩრდილულ სატანურ უჯრედებს. მერმე უფრო ღვთისნიერ-ჰარმონიული გახდება დედამიწაზე არსებობა და ცხოვრება. ყველაფერი და აურაცხელობაც მომავალში საიმედოდ მოგვარებადია, მაგრამ, სიკვდილს, საუბედუროდ, არასოდეს არაფრით არა ეშველება რა, რათა ქვეყნიერების უკიდეგანობის ურთულესი და უმძიმესი ფუნქციებია მასში ჩასახულ-ჩაკირული. ის უსახურ-უნდო, უთუოდ აუცილებელი ფიზიკური წმენდაა ყოველგვარი შავბნელი მოქმედებითაც, ვარსკვლავეთის უსასრულობისა, რომლითაც ცოცხალთათვის შეურიგებელი, შეუთავსებელი უსაშინლესი ფორმა-სახის მოვლენის მფლობელია: საერთო ქვეყნიური პლანეტათა და არსებათა სიცოცხლე, ქვესკნეთელ სიკვდილს ვერასოდეს შეურიგდება. ყოველგვარი ეჭვების გარეშე, ერთ რამეზე მართებულად უნდა დავიმედდდეთ და შეგნებულად მცირედად გაუშიფრავი მოლოდინით გავმაგრდეთ, რათა კოსმოსის იმ იდუმალი სფეროებით სრულიად ახალ და განსხვავებულ არსებითი გარდასახვებით ფუნქციებში რომ გადავალთ და მერმე ამქვეყნად ისევ განვმეორდებით...

და მაინც უტკბილესი დედამიწის მზისქვეშეთში დაბადებულ-აღმოცენებულთ, სიცოცხლის ფენომენალურ სუნთქვა-ფეთქვა და ხილულთან ინდივიდის სამუდამო გაყრა, შორეულ ვარსკვლავეთამდე ავარდნილი ჩაბნელებული შხამ-ეკლიანი ტრაგედიაა უთუოდ მის წინაშე აურაცხელი გალაქტიკები და დაზაფრული პლანეტებიც კანკალებენ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ღმერთებიც რომ უძლურია?! ასეთი ყოფილა ეს ქვეყნიერება მარადიული, რომელსაც უზენაესივე ყოველთა მიუკარებლად ერთუფლისმიერობით და სავსე იდუმალებებით წინაამძღოლობს...

უძველესი კოლხეთ-იბერია, ანტიკური საბერძნეთი, ტროელები, ასურიელები, ხეთები, ქალდეველები, ეგვიპტელები, ატლანტიდელები, სომხები, არაბები და ძველი რომაელები. თავიანთი შინაგანი მიუწვდომელი ბუნებით, ზნეობით და აზროვნებით ხომ ზოგად შედარებით იმ მოძღვრებისა იყვნენ, რაც იესო ქრისტემ ათას ხუთასი წლის შემდეგ იქადაგა და გვასწავლა ზეციური განძი `ათი მცნება~, ციური აზროვნებითი სიკეთე, სიყვარული და ურთიერთწმიდა დამოკიდებულება ოდითგანვე ზნეობრივად მოჰყვებოდა ზემოთ ხსენებულ ლეგენდარულ უძველეს ქვეყნებს-ხალხს. წარმართობის ეპოქებში თუ სხვა აღმსარებლობისას მუდამჟამს შინაგანად ბუდობდა მათ სულში, გონება-გულში ნერვ-კაპილარებში ყოველივე ნათელ-ღვთიური ჰუმანურ-კოსმიურმარადიული. ის მახინჯი წარმოდგენები და უბედურებები ადამიანთა შეწირვებზე ყოველივე ხომ უკეთურ-უაზროვნო ქურუმების და მოწინავე მლოცველების ფანატიკური და ქვესკნელური ეპოქალური შეთხზვა იყო, არ სჭირდებოდა ადამიანთა სისხლი და ცოცხლად ამოგლეჯილი სისხლმდინარე გული, კეთილ მზეს, წარმართული ღმერთების წინამძღოლ ზევსს, თუ კოლხეთ-იბერიის რამდენიმე ჯიუტ კერპებს. უფლისმიერი და ადამიანური ურთიერთგაგებით იმდენად შორს იყვნენ ერთმანეთისაგან, რომ ეშმაკეულ სალოცავებს და ჩვეულებრივ ადამიანებს არ გაეგებოდათ ერთმანეთისა. მაცხოვრის ქადაგება სწავლებამ დამატებით შორეული სიღრმეებიდან ამოატივტივა ის ძვირფასი, სათუთად თანდაყოლილი ზეციურ-მზისმიერი წმიდა გრძნობები და ურთიერთზეენარული ზნეობრივი გაგებები, რაც მაშინდელი მოქმედი რელიგიებისგან განგებ თუ შეუგნებლად უარყოფილი იყო. დედამიწელებს, მარადის დასჭირდებათ სულიერი ამაღლება, სწრაფვა და შეგუება ღვთიურ-კოსმოსური სიღრმეებისაკენ, რომელიც უსასრულოა და მუდამჟამს თავადვე მოგვაწვდის ეპოქებთან შემხვედრ ჭეშმარიტ ზნეობას. ბოროტება და ავკაცობა ყოველთვის იწრიალებს ჩვენს შორის და მასთან გამუდმებული ბრძოლა იქნება ადამის რჩეულთა მოდგმისა. მთავარია, სატანამ ფესვები ძლიერ არ გაიდგას კაცთა სულში, გონებაში და წმიდანურ თვისებაში. ამ ურთულეს თემას ისევ გადავხედავ, შევფიქრიანდები და განვმეორდები. უხსოვარი დროიდან ანტიკური ბერძნები (ელიტა) თვითმყოფადი კოლხები და ტროელები თავიანთი ზეციური ნიჭით და ზნეობრივი შემართებით თითქმის ისეთივენი იყვნენ შინაგანად, რა ცხოვრებისეული მისიებით დაგვმოძღვრა მაცხოვარმა, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან.

ისტორიული წარსულის მიუკარება ფაქტია, რომლის წინაშე ნებისმიერი კრიტიკა იმსხვრევა. თურმე პლანეტის უძველესი ცივილიზაციის წამყვანი ზემოთ ხსენებული ქვეყნები შეგნებით და დამყოლი ზნეობრივი აზროვნებით როგორ ზეციურ ღვთიურ დონეზე იყვნენ შემზადებული უზარმაზარი მამა ღმერთის მიერ განგებ განკაცებული მასწავლებლის მისაღებად (უფრო მშობლიური სრულიად განახლებული უახლოესი შეგონების დასახვედრად), მაგრამ ის საიდუმლოება, ფერად-მრავალი ვარსკვლავებითვე შეკრული კოსმიურ-ჯადოსნური გასაღები, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის უძველეს ქვეყნებს შეუთავსდა, თითქმის ჩვენთვის ზნეობრივად მიუწვდომელია: მჭირდება აზრთა ახლებურად გადაშლა და, ტანჯვა-წამების მოწამეობრიობის-შეწირვების, ხოცვა-კვლა, წმიდანის თავის კვეთის და ჯვარცმების ფონზე, ისევ მოკრძალებული კითხვები: დაუსრულებელო სამყაროვ და უახლოესო გალაქტიკებო! რატომ? განკაცებული ღმერთის ტანჯვით მოსვლა და ასეთ ადამიანთა მასიურ მსხვერპლად, რისთვის მოახდინე? (ყოველმხრივ გაუგებარია) საღვთო წერილები, ბიბლიური მოძღვრებები და ახალი აღთქმა, ჩემთვის ნათელია, მაგრამ; თუ დედამიწისეული ადამიანის ტანჯვა-წამების სახე, ღმერთ-წმინდანთა, მოვლენაც მაგდაგვარი რომ ყოფილიყო, ადამიანური სრული ჩაწვდომა-გაგებისთვის?

მსოფლიოში, კოლხთა და იბერიულ ზეზნეობრივ სტუმართმოყვარეობას არავინ შედარებია ოდითგანვე და ვერც მიემსგავსებიან ვერასოდეს, ამდაგვარი კეთილი თვისება ხომ წმიდათაწმიდა ზეენარულია: აქედან გამომდინარე პიროვნულად ვინატრებდი უთუოდ კოსმიური დადებითი ნათელი ველით გაჯერებულ ქვეყანას მხსნელად უნდა სტუმრებოდა ძე ღვთისა სულიწმიდა – მამაზეციერი. უკლებლივ მთელი ქვეყანა მხედრული მუხლმოდრეკით, სულთამხუთავი რელიგიით და წარსულის საშინელ მოგონებებს პირწმინდად შესწირავდა ზეციურ სიკეთეს და მარადიულ მრევლმორჩილად დაგიდგებოდნენ აღალსიყვარულით სულიერადაც დაგენაცვლებოდნენ, კრისტალურო ჭეშმარიტებავ.

ისევ ჩვენთანვე კეთილი ვარსკვლავების მართალი ხმა გაისმის, მაგრამ...

ჩავიხედოთ გულში და, რაა ეს წუთისოფელი, უფლის, და მზის სითბო-ენერგიით თუ არ გათბები და განიწმინდები. სამყაროს რომელმა უძლიერესმა დინებამ ჩამოგაბრძანა შემთხვევით თუ საგანგებოდ რჩეულ ადგილ-სივრცეში? თუ ყოველმიზეზის გარეშე, რომაული და ებრაული კულტურა-ცივილიზაცია იყო საჭირო, განგებავ?.. მაგრე რომ არა! უფალო მაღალო! იესო ქრისტეს ზეციურ მოვლენა სიწმინდეს, მხსნელსა და ჭეშმარიტ მოძღვრებას მისხალითაც არ გაუნაწყენდებოდა დიდებული ებრაელი ერი და ისეთივე მოკრძალებული ურთიერთობა ექნებოდათ, როგორც მათთვის უშორეს ბუდისტებთან და ისლამთან. გამონაკლისი ბრძენი თეოლოგნიც გონ-ვარსკვლავეთურად ჩუმად აგრე ფიქრობენ, რატომ მოხდა ასეო? ამდაგვარი შეკითხვის დასმას მე კი ვერ ვბედავ: თუმცა ჩემი სრულიად განსხვავებული ნაწარმოები მაგ ფორმის აზრთა მოვლენების ირგვლივ ტრიალებს, მაგრამ ზოგადად ვპასუხობ, კოსმოსური მიუკარება სიმართლე, რომელიც მთელ სამყაროშია განვრცობილი უძლიერესია და ნებისმიერ ხალხზე თუ კულტურა-ცივილიზაციაზე მაღლა მდგომია, უთუოდ რომ მიკვირს, რადგან პირადადაც ვერ ავცდი ჩემი სისუსტეებიდან გამომდინარე, ამ გასაიდუმლოებულ იშვიათსა და კეთილ ჯანსაღ გამოსხივებათა გონებრივ ზემოქმედებას...

მხსნელო და სიკეთე-სიბრძნით სიყვარულო. კოლხთა და იბერიელთა ქვეყანაში ვინ გაკადრებდა საეჭვოდ გადახრილ სიტყვასაც. თუ აუცილებლად ასე უნდა მომხდარიყო კოსმიური სრულიად უცხო ძალების ჩარევით? პლანეტა-დედამიწა ხომ შენი საუფლოთაგანია! დაწყებული ადამიანებიდან, ცხოველებ-ფრინველებ-თევზებ-ქვეწარმავლებ-უმცირესი მოლეკულების ჩათვლით. ნეტავ მოსულიყავი სრულიად საქართველოში და საბერძნეთში. ნუთუ რაღაც უძლიერეს ფორმას აქვს გავლენა ყოველივეზე და ყველაფერზე, ჩემო იესო უფალო. იბერია-კოლხეთი ხომ კულტურა-ცივილიზაციით, შეგნებით და უდრეკი გმირობითაც უჭოჭმანოდ შენთან შემხვედრი იყო, მაღალო და უზომო სიკეთევ! თუ რა ხდება?! რატომ, უფალო, შენგან გაჩენილი სამყარო და ყოველთა ფსიქიკა და აზროვნება დროთა-ჟამში შეუგნებლად ხომ არ გეურჩება – ქვეყნიერების მომწესრიგებელო? ამ უკიდეგანო ქვეყნიერებაში შენცა გაქვს სულიერ-უსულოთა უსასრულობის პრობლემები? ჩვენ უთუოდ მარად თავაშვებულ ურთულეს, მკაცრ მოვლენებთან გვაქვს შეხვედრები. ალბათ იდუმალ სარკედ მოგვევლინა, ჩვენეული მუდმივი ტანჯვა-ვაების, ეპიზოდურ მკურნალ მაამებლად უძველესი კოლხეთის მიწაზე ჩამოსულ შენს უნიჭიერეს და შეწირულ მოსწავლეებს ღირსეული პატივით და მომავლის მტკიცე იმედით, რომ დახვდა ხალხი სამაგალითო... აგრეთვე ზეციური საამო შუქ-ნათება იბერიას დროულად რომ ეახლა ღვთიური მადლით აღივსო ერთ დროს წარმართობისგან ჩაგრული ქვეყანა. ამდაგვარ რწმენითსავსეობით ვფიქრობ და იმედად ჩემს წინ ინათა, იოანე ზოსიმეს მოძღვრებამ – ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი დამარხულ არს ენად ქართული დღემდე. მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებელად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. X საუკუნის ქართველი სასულიერო მწერლის და ჰიმნოგრაფის ნაწინასწარმეტყველებიდან გონდაძრული მიწიერი ზნემართალი სარწმუნოებრივი ჩემეული გოდება ნატვრა ოცნებისა, უსასრულობიდან მართალ თანამდგომ იმედად ამოსხივდა იოანე ზოსიმესეული ზესამყაროსეული აღსრულებადი ღაღადისი.

გოლგოთა: დაუზოგავად ნაწამები მაცხოვარი

→

ჯვარზეა გაკრული, ქვეყანა ბნელეთმა მოიცვა ორ ყაჩაღს, დისმასსა და გესმასს, შუა; მისუსტებულ-მომაკვდავი, ცას ახედავს და უკვე განწირული იტყვის, უსასრულობის სიტყვებს ღვთისა ისევ ვიმეორებ: `რატომ მიმატოვე, მამა?!~ უთუოდ აქედანაც გადმოიღვარა თავადვე, უჩემოდ – შობილი ზეციურობით აღვსილი თითქმის სივრცობრივ-მითოლოგიური უცნაური და სიკეთე-სიყვარულით სავსე რელიგიურ-სტიქიური ნანარმოები.

კოსმოსური იშვიათი ფორმა ჯვარი ქვეყნიერების ოთხივ კუთხის იდუმალების მაუწყებელი დამოუკიდებლად, უტრაგედიოდ არანაკლებ ღვთიურ ფუნქციებს შეიძენდა შენგან და მრავალმხრივ სამყაროსეულ სიმბოლო ოპტიმისტურ უძლიერეს ფუნქციებსაც განავრცობდა და მაცხოვრისეული ჯვრის სხეულიდან უწყვეტად სიკეთის და სიყვარულის ნათელი ვარსკვლავები, სევდა და ურვა აღკვეცილი მოგვევლინებოდა. ასეთი მართალი რწმენითი შინაარსისაა ჩემი წარმოდგენები და ხილვა-ფანტაზიები ამ უკიდეგანო რელიგიურ თემაზე. მაგრამ ღვთიური მიუწვდომელი აზროვნების სინამდვილესთან გონსაღად რომ შევიხედოთ, უთუოდ ვიხილავთ მაცხოვრისმიერ ზეციურმა და სულიერად მრავალმხრივმა ჯვრის ახლებურმა შემკობამ და მისმა, ბრწყინვალებამ შორეულ გალაქტიკებამდე ააღწია... მეგობრებო, დავუბრუნდეთ წინამდებარე მთავარ თემას. სვიმონ კანანელი და მატათა, კოლხებმა გარკვეული დროის შემდეგ უდროოდ მაინც გარდაცვლილები, საკუთარი შვილივით თავიანთ მიწას წმიდანური პატივით მიაბარეს. უდიდეს რომში კი ქრისტიანებს დამნაშავეებივით სამალავებშიც დევნიდნენ, უმოწყალოდ ხოცავდნენ და მაცხოვრის უპირველესი მოციქული პეტრე ჯვარს აცვეს. მორჩილ კითხვას ვსვამ მოვლენა ღვთიურ შემთხვევაშიც, უთუოდ სადღაც მიუწვდომელში იაზრეს, რომ ძლიერი ქვეყნის ზეწოლა მორალურ-ფიზიკური ძალისმიერობა იყო საჭირო, რათა უპირველესი ქვეყნებიდან უთუოდ ადვილი იქნებოდაო ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრება, მაგრამ მათმა ფაქტიურად ხომ არ დაინდეს არცერთი ქრისტიანი მორწმუნეები. ნუთუ უხილაობის გარკვეული ძალები ზეცის უკეთურ სივრცეს აკუთვნებდნენ უპირატესობას? ისევ მორიდებულად წამოვწევ ჩემს უმთავრეს სათქმელს და კოლხ-იბერიელთა კეთილ გონ-გულ-სულიანობას არავინ უდგას წინ, მაგრამ დედამიწაზე სიმართლე და სიკეთე ხშირად მწარედ იგნორირებულია. მოციქულთა და წმიდანთ მჩაგვრელ ქვეყნებთან ამ შემთხვევაშიც რომაელებსაც ვგულისხმობ, მათ რატომ წარუდგინეს იესო ქრისტე?! ზემოთ განხილული წარსულის უკუღმართი და ურთულესი ეპოქებიდან ყოველგვარი კეთილშობილური და ღვთიური სიბრძნე სიყვარული მხოლოდ შენგან დაგვრჩა, ჩვენო მხსნელო. იმ საუკუნის ადამიანების უმეტესობიდან კი, ბოროტება უზნეობა, ღალატი, სიძულვილი, განწირვა, შური და გულქვაობა ფიქსირდება. იმდენად წინააღმდეგობებით და ძლიერი ურთიერთდაპირისპირებებითაა სავსე ეს ქვეყანა, რომ, სულიერად მტკიცედ მდგარი, ძალაუნებურად თუ ძალდატანებით, კინაღამ შავი ხვრელივით სივრცეში მეც ვიძირები.

პირადად დიდ პატივს ვცემ უძველეს ებრაელ ხალხს და მათ გამორჩეულ ნიჭს – გენიას ნებისმიერ დარგში, ასევე რომაელთ, რატომ მოხდა ასე, რომ განკაცებულ მაცხოვარს – მზედ ხილულს, ვერ ჩაწსვდნენ. ზეციურთა ვექილობისა რა უფლება მაქვს, მაგრამ თავიანთი რელიგიის სიკეთე-თავმდაბლობისგან დაცვამ და უსაზღვრო სიყვარულმა ასე მწარედ დაუბრმავა თვალები განურჩევლად ორივე მხარეს, მაცხოვრის წარმოუდგენელი წამება და ტანჯვის მიყენება, რომელიც უმძიმესი გარდაცვალებით დამთავრდა, საუბედუროდ ადამიანურ ყოველგვარ უბოროტეს შავ ფორმებსაც შორდება. აქვე მინდა მოგახსენოთ, კოლხეთ-იბერიაში მაგ ბედნიერ დროს რელიგიური კრიზისი არ ჩანდა და მაინც მაცხოვრის მოციქულები სითბო-სიყვარულით ღირსეულად მიიღეს და მათ ჭეშმარიტ მცნებას თავისუფალი თანდაყოლით გაუმთლიანდნენ. რის შემდეგ მირონმომდინარე წმიდა ხატები იბადება, კერძოდ უპირველესად კოლხეთის საქრისტიანოში (ამის ისტორიული ფაქტობრივი მტკიცებულებანი არსებობს). წარმოვიდგინოთ, მაცხოვარი რომ შობილიყო ლეგენდარულ და მითოსურ დედაქალაქ ისტორიასავით უძველეს აიაში. რა თქმა უნდა, უხსოვარდროინდელი ლეგენდა მისტერიები მიწყნარდებოდა და პრეისტორიულ ქვეყნებისეულ წარსულს ჩაბარდებოდა, თუმცა ოთხი მოციქულის ქვეყნად ჩამოსვლის შემდგომ ასეც მოხდა. მერმე კი, ბევრნი და უთვალავნიც უსუსურ კითხვას დასვამდნენ, ყოვლის მძლე ტანჯული ჯვარი ხომ არ გვექნებოდაო! ამ ურთულეს რწმენით საკითხზე ზემოთ უკვე გესაუბრეთ, რათა ჯვარის სამყაროსეული უმდიდრესი ღვთიურ-სიმბოლურ-მისტიკური წარმოსახვები უსასრულოა...

საღად თუ ვიაზრებთ, უფლის შემოქმედებითი დიადური სივრცე განუზომელია და, ვინ იცის, ქვეყნიერების სასიკეთოდ კიდევ როგორი ოპტიმისტურ-მაცოცხლებელი წმიდა სიმბოლოები, სიღრმისეული იგავები მოწმენდილ ცასავით გამჭვირვალე რელიგიური ჯანსაღი ისტორია და საღოცავები გვექნებოდა ზემოთ ჩამოთვლილ უძველეს ქალაქებში. შეიძლება, სხვამხრივ შემადარი პასუხიც გაიცეს, ბიბლიის მქონე, მოსესა და დავითის ქვეყანაში უნდა შობილიყო მაცხოვარიო?! ან აღმოსავლეთის და ევროპის კულტურა-ცივილიზაციის გზაჯვარედინზე. უფალს ამ უზარმაზარ სივრცეში უნდა აღმოეჩინა ადამიანები, რათა იმ პერიოდის ფსიქო-ზნეობრივი არენა ფართო იყო. ჩვენ უთუოდ ვეთაყვანებით მარადიულს, ამ შემთხვევაში კი განსხვავებული, შეუგუებელი აზრებით, ზეციური სიკეთე-სიყვარულიდან გამომდინარე, მხოლოდ მზეფორმას ვნატრულობთ, სულიერად უზომოდ ვეფერებით და ვლოცულობთ კიდევაც...

ჩვენიხედოთ შორეულში და, როდესაც უძველესი კოლხეთ-იბერიის ნინაპრები ეტრუსკები, პელაზგები და ქალდეველები პლანეტის სიახლე იყო და მაშინ მათში რომ მოევლინა მამაზეციერს ძე ღვთისა კაცობრიობის მხსნელად, უთუოდ ვერ ჩასწვდებოდნენ ზეციური სიკეთისა და სიყვარულის ნათელ შეუდარებელ სიბრძნეს და, ამდაგვარი გაუგებრობიდან გამომდინარე, კერპ მზეკაცად გამოაცხადებდნენ, რითაც მაცხოვრის მიუკარება კულტივიზირება მოხდებოდა. ამ სახით გარდაქმნას თუ ვერ მოახერხებდნენ, მაშინ მხსნელი უარყოფილი იქნებოდა; რათა იმ პერიოდში მოუმწიფებელი იყო მაღალ ზნე-იდეებთან შესახვედრად ადამიანის გონება. გაივლის რამდენიმე ათასი წელი და საღვთო წერილით განსაზღვრულ ადგილას, მოწიფულ დროს გვებოძა შობა ღვთისა, დამაღონებლად გარდაუვლად შეიქმნა მკაცრი მოულოდნელობა – ვერ გაუგო კაცობრიობამ და უზომო მსხვერპლის შეწირვების და ბნელი, მტანჯველი უფსკრულების გავლით განსაზღვრულ მიდამო-ქვეყნებში უთვალავ ადამიანთა მსხვერპლგაღებით გავრცელდა ქრისტიანობა და მაინც იტყვიან, მხოლოდ ასე უნდა მომხდარიყოო, რათა ყოველივე საღვთო წერილიდან გათვლილ-კანონიკურიაო (ძალიან მშრალ-უხეშად ჟღერს სიტყვა `კანონიკური~, ბევრად სჯობს `ჰარმონიული~, რათა უფალთან უფრო ახლოსაა...).

თქვენს ხელთ არსებული ნაწარმოების, უფალ იესო ქრისტეზე ნატვრა-ლოცვებით, ფრიად განსხვავებული და სიკეთით სავსე ნაფიქრალი ალალად რომ არ დამეწერა და გაუშუქებლად თითქოსდა მიწაში ჩამყოლოდა, როგორც წინა გვერდებში მისტიკურად აღგნერეთ, ნათელია, რომ ნებისმიერ შემთხვევაშიც არაფერი არ იმალება ჩვენგან და ირგვლივი გარემო სივრციდანაც, რათა ყოველგვარი ფაქტ-მოვლენა, გაჩენის წამიდან უსასრულობის მოუშლელ ქსელშია შემავალი და ქვეყნიერების მეხსიერებას მუდმივად ამდიდრებს.

ღამის ვარსკვლავთმხმობელი ლოცვების მერმე ჩაძინებულს, უჩვეულო გამოცხადებით წარმოსახვამ გამაღვიძა და ჩამაწერინა ის გარკვეული აზრი, კეთილგონიერებით რაც შეგიქმნია ესოდენ ახალი, თითქმის მითიური ნაწარმოები, სასიამოვნოა და საკვირველი: უთუოდ ათას წელს მიღმა მიწად ქცეულ კოლხ-იბერიელთა ჩაფერფლილ ძვლებს ეამებოდა ესოდენ კეთილსიყვარულიანი ნატვრა-ლოცვა და მათ მარადიულ, ცაში შერწყმულ, იაიასფერ სულებს გაახარებდა, ასევე ებრაელთა უდიდეს შორსმჭვრეტელ წინაპრებს, მაგრამ ყოველივე ამდაგვარი ქვეყნიურ-რელიგიური მოვლენა შეუძლებელია მომხდარიყო; ისევე, როგორც კოსმიურ სივრცეში დედამიწის ბრუნვის შეჩერება ერთი საათითაც. წინასწარ ვგრძნობ, რომ ჩემს ნატვრა-ნაოცნებარს, საკმაოდ განსხვავებულ ფიქრ-აზრებს და ქრისტესმიერად კეთილ-ფანტაზიურ გამონათქვამებს მრავალი თქვენგანი ჩვენდა დამაღონებლად არ მიიღებს, მაგრამ მე დაბეჯითებით მჯერა, ყოველთა ცხოვრებისეულ საიდუმლოების ნისლში შებურულ ნიღაბს იქით, რეალობაში ოცნებით ამ მხრივ ჩემნაირები ხართ და უფრო თამამ-სიღრმისეულებიც...

რა მიზეზებმა განაპირობეს ის ფაქტი, რომ ქართველმა მეფეებმა საგვარეულო სასაფლაოდ აირჩიეს გელათი?!

◀ დასაწყისი გვ. 1

გელათის მშენებლობას მისი აკადემიური სასწავლებლის შენობა წარმოადგენდა, რაც, რიგის მიხედვით, მეხუთე შენობა იყო.

მეექვსე შენობა სამრეკლოა, ანუ ძველი საპყრობილე. მეშვიდე კი თავდაცვითი დანიშნულების ყოფილა, მათში მთავარია ოთხი მეტრის სიმაღლის ქვის გალავანი. გარედან შენობა გამაგრებული ყოფილა ციხე-კოშკებით.

აქედან დღეისათვის ხუთი კოშკია შემონახული, ერთ მათგანს დავითის კონცხს ეძახიან.

სნეულთა და დავრდომილთა თავშესაფრად სოხასტერი აუშენებიათ. მისი ნანგრევები ეზოს გადაღმა ბორცვზეა მიმობნეული და ყველა ისინი გელათში მერვე შენობას წარმოადგენს.

ბაგრატიონთა მიერ გელათის საგვარეულო სამარხად დათქმა, ყოველმხრივ გამართლებულია. სამეფოს გაყოფის შემდეგ, იმერთა მეფეებს, გელათი თავიანთი საგვარეულო სამარხად უქცევიათ. ბოლოს იგი სახარბიელო ობიექტს დამსგავსებია და, ასე წარმოიდგინეთ, მეფეთა მოქიშპე ქსნის ერისთავებიც ცდილობდნენ, გელათი თავიანთ საგვარეულო სამარხად ექციათ. გელათის ქართველ მეფეთა საგვარეულო საფლავად გადაქცევის საკითხი, თავისთავად, ბევრი რამის მთქმელია.

დავითის დაუდეგარი ბუნება და მტკიცე ხასიათი ადრევე შენიშნეს ქართველებმა. გამოდიოდნენ რა ქვეყნის ინტერესებიდან, 1089 წელს გადაყენეს უნიათო მეფე **გიორგი მეორე** და 16 წლის ჭაბუკი დავითი სამეფო ტახტზე აიყვანეს.

მამის სიცოცხლეშივე გამეფებულმა დავითმა, ფორმალურად, სრულიად საქართველოს საჭეთმპყობელობა კი მიიღო, მაგრამ, ფაქტიურად, სამეფო გარეშე და შინაური მტრების მიერ დაქუცმაცებული და დაქვეითებული იყო, ხოლო დედაქალაქი თბილისი სამ საუკუნეზე მეტ ხანს არაბებს ეპყრათ ხელში.

უკიდურესობამდე გაღატაკებულ, წელში გაწყვეტილ ქართველ ხალხს, ახალი დიდი სტიქიური უბედურებაც დაატყდა თავს, ძლიერმა მიწისძვრამ გაანადგურა მთელი საქართველოს სამხრეთი ნაწილი. დაინგრა ქალაქი თმოგვი, აწყურის დიდებული ტაძრის გუმბათი, დაზიანდა მრავალი ციხე-ქალაქი და ქვეყანამ აურაცხელი მატერიალური ზარალი განიცადა.

აღმართს დაღმართი მოსდევსო, – ნათქვამია და მტერთა ბანაკმაც იწყო რყევა, გარდაიცვალა სულთან მალიქ შაჰი, მის მემკვიდრეთა შორის ატეხილმა დავამ დაქსაქსა მტრის ძალები, ამას ზედ დაერთო ჯვაროსანთა ლაშქრობები. დავითმა შექმნილი ვითარება კარგად გამოიყენა, მაქსიმალურად გააძლიერა საზღვრების დაცვა, შექმნა რეგულარული არმია, თურქებს შეუწყვიტა ხარკის გადახდა, ქვეყნის აღსადგენად შინაგანი ძალები დარაზმა.

დავითი იძულებული გახდა ბრძოლა რამდენიმე ფრონტზე ეწარმოებინა, რეზიდენცია კი ქალაქ ქუთაისში ჰქონდა. დავითმა მთელი თავისი ძალა და ენერგია თბილისის გათავისუფლებას შეალია და, მხოლოდ, სიკვდილამდე ორიოდე წლით ადრე, 1122 წელს მიაღწია დედაქალაქში შებრძანება.. მან მთელი თავისი მეფობის ძირითადი დრო ქუთაისში გაატარა, გელათი კი ქუთაისიდან 10-ოდე კილომეტრში მდებარეობს, რის გამოც წარმოუდგენელი იყო გელათი მისი ყურადღების გარეშე დარჩენილიყო. ქრისტიანი მეფე, რომელიც ქართულმა ეკლესიამ, სიკვდილის შემდეგ, წმინდანად შერაცხა, გელათის ეკლესიებს უყურადღებოდ ვერ დატოვებდა.

საქართველოს რუკაზე თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ: ალავერდთან, თბილისთან, ბოლნისთან, ზარზმასთან, ბიჭვინთასთან და სხვებთან შედარებით გელათს უკეთესი მყუდრო ადგილი უკავია. ამის გამო იყო, რომ ისტორიის მანძილზე მტრის შემოსევებისაგან გელათის ტაძარი, სხვებთან შედარებით, ბევრად უფრო ნაკლებად ზარალდებოდა. აი მაგალითიც:

საქართველოს რვაჯერ შემოესია თემურ-ლენგი. 1386 წელს, მესხეთის გზით და 21 ნოემბერს თბილისი აიღო. იმერეთი და, კერძოდ, გელათი, გვერდზე დარჩა.

1394 წელს თემურის მესამე შემოსევა, არაგვის ხეობაში ლაშქრობით შემოიფარგლა, მას თოხთამიშისთვის გზების შეკვრა ეწადა. გელათი ამჯერადაც გადარჩა. მან 1395 წელსაც მეოთხედ დალაშქრა ქართლი. მეხუთე შემოსევის დროს ქართლის მეფემ იმერეთში გაასწრო; თემურის საქართველოში მეექვსე და მეშვიდე შემოსევებისას კვლავ ქართლი გადაიქელა, გელეთისკენ არც კი გაუხედავს.

მხოლოდ მერვე შემოსევისას თემურმა, ქსანზე გამარჯვების შემდეგ, გასწია იმერეთისკენ. „ერისთავთა ძეგლის“ ავტორს შემონახული აქვს ცნობა, რომ ***„მოაღწია ლაშქარმა მათმა ქუთაისამდეო“*** ე.ი. გელათში არც ახლა მისულა თემური.

თავისთავად, ძლიერმა, ნიჭიერმა, დიდმა სარდალმა **შაჰ-აბასმა,** რომელიც, ამავე დროს, პოეტიც იყო და დიდი დიპლომატიც, ქართლსა და კახეთს დაადგა კბილი, მიწასთან გაასწორა და უდიდესი ზარალი მიაყენა. იმერეთამდე ვერც ამჯერად გადადგა ფეხი და ა.შ.

ასე ხდებოდა ხშირად, დასავლეთ საქართველოს ეს თავისებური, შედარებით მშვიდობიანი მდებარეობა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ მან მხატვრულ ლიტერატურაშიც კი აირეკლა. ენატკბილ მგოსანს, აკაკი წერეთელს, თავის პოემაში – „ნიკოლას ნაამბობში“ ამის შესახებაც აქვს ნათქვამი. იქ მოთხრობილია, რომ როცა ქართლს საჭურისის დროინდელი სპარსეთის ხმალი დაემუქრა, მეფე ერეკლემ ქართველთა შეკავშირება სცადა და თავის ნათესავს – იმერეთის მეფეს მიმართა. სოლომონი საკითხის ერთპიროვნულ გადაწყვეტას მოერიდა და დარბაზი შეჰყარა.

იმერლებს ეწადათ ქართლისათვის დახმარების ხელი გაეწოდათ, მაგრამ სიტყვა ზურაბმა აიღო. ლეკთა ნაშიერი, აღზევებული, პირად კეთილდღეობას დახარბებული ზურაბი დაუფარავად წინ აღუდგა დახმარების მოსურნეთ. ეგოისტური იყო მისი არგუმენტები, მაგრამ ფაქტებს ეყრდნობოდნენ. ზურაბი მიმართავს მეფე სოლომონს:

შახაბაზის დროს კახეთის მეფე
ჩვენში ეძებდა თავის შესაფარს,
ყეენი მხოლოდ შუქურას სთვლიდა,
და ვერ გზავნიდა ჩვენსკენ თავის ჯარს.
რადგან ერთხელვე გამოუხატავთ
ჩვენი ქვეყანა საშიშარ მხარედ,
მაგრამ დაზოგვით კი არ დაგზოგვენ
თუ დაგვიხელთეს ჩვენ სადმე გარეთ.
სპარსელებისგან ქართლსა და კახეთს
ბევრჯერ დაეცა ზარი და მეხი,
მაგრამ მადლი ღმერთს, იმერეთისკენ
არ გადმოუდგამთ ჯერ იმათ ფეხი.

(ა. წერეთელი, ტ. 5, გვ. 99).

გელათის ადგილმდებარეობის შედარებით სიმყუდროვის შესახებ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ჯობია ამით შემოვიფარგლოთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, არ შემცდარა დავით აღმაშენებელი, რომ ავბედითობის ხანაში, როდესაც სრულიად მოისპო და გაპარტახდა გრემის სასახლე, დაცარიელდა დაბა-სოფლები, ფუნქციონირება შეწყვიტეს ისეთმა დიდმა მონასტრებმა, როგორებიც იყვნენ ბაგინეთი, საყუნეთი, აწყვერი, სადგერი, ჩიხორიში, ხვილიშა, ვარძია, საფარა, ზარზმა, ჭულევი, პარხალი, ოპიზა, ბანა, ოშკი, ხახული, შატბერდი, ანჩი, ბიჭვინთა და სხვა მრავალი, გელათის მონასტერი მხოლოდ 1510 წლისთვის იქნა დარბეული.

გასაკვირი არაა, რომ სწორედ ასეთი სახარბიელო მდებარეობის გამო იგი მეფეთა სამუდამო განსასვენებელ ადგილად ქცეულიყო.

ღალატის თემა თეოლოგიურ ჭრილში

ვაჟა ოთარაშვილი

(დასასრული, დასაწყისი წინა ნომერში)

(მოკლე ვარიანტი)

გენიალური *რუსთაველი* „ქართველთა ბიბლიაში“ – „ვეფხისტყაოსანში“ ერთგან ბრძანებს:

„ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს...“

დიდი შოთას ამ ბრწყინვალე პოეტურ ფრაზებში სრულადაა წარმოჩენილი და განმარტებული თეოლოგიურ ჭრილში ღალატი. ასევე კარგად ჩანს ქურუმი პოეტის დამოკიდებულება სიცრუე-ღალატთან მიმართებაში:

„ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა...“

ანდა

„კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად...“

ე. ი. ღალატს – სიცრუე, შური, აუგი, ორპირობა თან სდევს. და უმთავრესი! ბრძნეთა-ბრძენი რუსთაველი ცალსახად ასკვნის, რომ ყოველი ცრუ და მოღალატე პირველ რიგში **„ღმერთსა ჰგმობს!..“** ღმერთის გმობა კი ადამიანის მიუტევებელი ცოდვაა!

ქართულ ისტორიულ საბუთებში, სიგელ-გუჯრებში, წყალობის წიგნებში, მოხსენიებული გიორგი სააკაძის არც ერთი პირდაპირი წინაპარი **„ცრუ და მოღალატე** ღმრთისა“ არ გვხვდება. დიდი მოურავის ყველაზე ადრეული წინაპარი – *ჯანზურაბ სააკაძე* იხსენიება *თამარ მეფის* დროს მე-12 საუკუნის მიწურულს და მე-13 საუკუნის დასაწყისში (1184-1213 წწ.). 1652 წელს გიორგი სააკაძის ცოცხლად გადარჩენილ შვილს – *იორამს,* რომელ-

ბული მეფის სვიმონ დიდის დედოფალს და მცირეწლოვან ოჯახობას, როდესაც დიდი თავადები **„დაეცემიან კავთისხევს“** და აწიოკებენ, მხოლოდ გიორგი სააკაძის მამა-ბიძები ეშველებიან, მფარველობენ და ექომაგებიან ქართლის მეფის ჯალაბობას. არც ახალგაზრდა, დაახლოებით 21-22 წლის ახალგაზრდა გიორგი სააკაძეს არ ასაჩუქრებს „წყალობის წიგნში“ აღწერილი ადგილ-მამულებით 1594 წელს სვიმონ I.

გიორგი სააკაძის მამა-პაპანი ქრისტიანები არიან – აღმსარებელ-მაზიარებლები, ქართლში მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ცხოვრობენ მდ. კავთურას, მდ. ნოსტურას, მდ. თექამის და მდ. ატენის ხეობების არეალში, სადაც საცხოვრისი-სასახლეების, ციხე-კოშკების, აზნაურებისა და ყმა-მამულების გარდა, აქვთ მათივე აშენებული საგვარეულო ტაძარ-ეკლესიები და მონასტრები: ქვათახევის მონასტერი, რომელშიც საუკუნეების განმავლობაში სააკაძეები არიან წინამძღვრები *[„ქვათახევის მამათა მონასტერი“ თბ. 2015 წ. გვ. 7-8],* ევსტატინწმინდას, ანუ ერთაწმინდის მშვენიერი ტაძარი – ევსტატიპლაკიდას – დიდი წმინდანის, სააკაძეთა მფარველის სახელზე აგებული მშვენიერი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი, სოფ. ნოსტეს წმ. სამების ბაზილიკური ტიპის ეკლესია *(დიდი მოურავის შეწირულობით აგებული),* ფავნისის წმ. გიორგის ეკლესია, სოფ. გუდალეთის წმ. ევსტატი პლაკიდას სახ. ეკლესია, კავთისხევის ლომისის წმ. გიორგის ეკლესია და სხვ. *[ვ. ოთარაშვილი „გიორგი სააკაძის სახელმწიფო რეფორმების ქრისტიანული ასპექტები“. ჯ. „სვეტიცხოველი“, №2, 2017 წ. გვ. 204-212].*



ახლა გადავიდეთ უმთავრესზე: გიორგი სააკაძის და ლუარსაბ მეფის ურთიერთობაზე და მათ შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაზე, ურთულეს დაძაბულ ვითარებაზე მეფესა და დიდ მოურავს შორის, მოარულ ხმებზე – მეფის მიერ მოურავის მოკვლის შესახებ და, ბოლოს, წავკისის 1612 წლის შეთქმულებაზე...

მეფე ლუარსაბ II-ის და გიორგი სააკაძის ურთიერთობის თეოლოგიური ასპექტები

გიორგი სააკაძის მამა-ბიძები *სვიმონ I-ის* ერთგულნი იყვნენ და ქართლის მამაცი მეფის სვიმონ დიდის კარზე მსახურობდნენ. ისტორიულ საბუთებში გიორგი სააკაძის მამა *სიაუშიც* სამეფო კარის მაღალი თანამდებობის პირად – მოურავად, მუჰასიბად, სალაროთუხუცესად იხსენიება. იგი ჯერ სვიმონ I-ის, შემდეგ *გიორგი X*-ის სამეფო კარზეა *[ხელნ. ერ. ცენტრი Hd-14444; 1588 წ. 8 ივლისი; Hd-14416 1588 წ. 2 ნოემბერი; ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთები. ვ. ფუთურიძის რედაქციით, თბ. 1955 წ. გვ. 32-34].*

გიორგი სააკაძის და ლუარსაბ II-ის ურთიერთობის შესახებ *ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებაში“* ვკითხულობთ შემდეგს: *„...და მას ჟამსა მეფე ლუარსაბ იდგა ქცხილვანს და ამ ჟამში გამდიდრებული იყო ქართლის მოურავი სააკაძე გიორგი, რომელი იყო მოურავი ტფილისისა, და ესრეთ გამდიდრებულიყო, რომე შემდგომად მეფისა იგი იყო. და ამას (ე. ი. გიორგი სააკაძეს - ვ. ო.) უთხრეს ქვეყნის არევის მოყვარეთა და მეჩხუბართა კაცთა, ვითარმედ: „მეფე სიკვდილს გიპირებს, რამეთუ სძაგს სიმდიდრე და მორჭმა შენი“. ხოლო მოურავს რა ესმა საქმე ესე, დაიწყო რჩევა და ლაპარაკი. მაშინ მიუგზავნა მეფემან კაცი და შეუთვალა, ვითარმედ: „რა გნებავს ყოფად, რომე დღითი-დღე არ დასცხრები ლაპარაკისაგან და ჩურჩულისაგან“. ხოლო მოურავმან მიუგზავნა მროველი (ავალიშვილი) დომესტი და შეუთვალა ესრეთ, ვითარმედ: „სიკუდილსა და ღალატს მიპირებო და რას მემართლები დანამაული რა მაქუსო, რომ მიწყრებიო და გნებას სიკვდილი ჩემიო“. ხოლო მეფემან უარყო და ფიცით შეიჯერა, ვითარმედ: „არა მწადს სიკვდილი შენიო“ [„ქც“ თბ. 1959 წ. გვ. 3857. ტომი II].*

ამის შემდეგ უკვე ოსმალო-თათარხანის 60 000-იანი ლაშქრის შემოჭრას ქართლში აღწერს მემატიანე და ა. შ. გიორგი სააკაძის სარდლობით და მამაცობით მოგებულ ჯერ **სხერტის ჭალის,** შემდეგ კი **ტაშისკარის** უმნიშვნელოვანეს ბრძოლებს, სადაც მეფე ლუარსაბის და დიდი მოურავის ტანდემი ერთად გმირულად იბრძვის.

გავარჩიოთ, გავაანალიზოთ *„ახალი ქართლის ცხოვრებაში“* მოყვანილი ეს ამბავი. მემატიანის (ამ შემთხვევაში ბერი ეგნატაშვილის) ნაუბარიდან გამომდინარე ახალგაზრდა ქართლის მეფე ლუარსაბ II *50, 1605-1615 წწ.].*

ახლა იწყება ყველაზე მთავარი: გიორგი სააკაძეს *„ქვეყნის არევის და მეჩხუბარი კაცები“* ეუბნებიან, რომ მეფე ლუარსაბს მისი მოკვლა უნდა. საკვირველია, 1608 წლიდან 1609 წლის გაზაფხულამდე ერთი წელიც არ არის გასული, როცა ქართლის მეფე დიდ მოურავს *„ქალაქის ამირ-ამირას“ „ჩვენსა ერთგულებით და თავდადებით ნამსახურსა ყმასა“* ამკობს და წყალობის წიგნით ქონებას და ადგილ-მამულებს უმატებს და რამდენიმე თვის შემდეგ მისი ღალატი და მოკვლა გადაწყვიტა? „ქართლის ცხოვრების“ მეისტორიე ბერი ეგნატაშვილი – ვახტანგ VI-ის მიერ დანიშნულ *„სწავლულ კაცთა კომისიის“* ხელმძღვანელი, სწორედ სიტყვა *„ღალატს“* გამოყოფს, ანუ ღალატით სიკვდილს მიპირებო – დიდ მოურავს ათქმევინებს... რატომ უნდა უღალატოს თავის ერთგულ მოურავს მეფემ? – ისმის კითხვა, რომელსაც ცოტა ხნის წინ ერთგულად და თავდადებულ თანამებრძოლად თვლიდა?

აქვე ჩნდება მეორე, ძალიან საინტერესო კითხვა: ვინ არიან *„ქვეყნის არევის“* და ჩხუბის მოყვარე კაცები, ვისი მოგზავნილნი არიან გიორგი სააკაძესთან? 1620 წლის 15 აპრილის დიდი მოურავისა და **ქაიხოსრო ჯავახიშვილის** სასამართლოს განჩინებიდან ჩანს, რომ ანალოგიურად მეფე ლუარსაბს 1609 წელს მიუგზავნეს *„ქვეყნის არევის“* და ჩხუბის მოყვარე კაცები, რომელთაგან ერთის სახელია **ბერუკა,** რომელიც გიორგი სააკაძის ოჯახში *„შვილივით იზრდებოდა“* და შემდეგ მეფე ლუარსაბთან *„ბეზღობა დაიწყო და აუგის თქმა დიდ მოურავზე“ [„სასამართო განაჩენი დიდი მოურავისა და ჯავახიშვილის საქმის გამო 1620 წ.“ Hd-6259. „საქართველოს სიძველენი“, II, თბ. 1909 წ. გვ. 51-61. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით].*

ვინ არის იუდას გზაზე მავალი ბერუკა?

ანდა როგორ ჰგავს **შაჰ-აბასის** ერთ ფანდს, როცა კახეთის მეფე **თეიმურაზსაც** და ქართლის მეფე ლუარსაბსაც ერთმანეთზე აუგის მთქმელ წერილებს უგზავნის, ერთურთის მტრად სახავს ორივეს და ცალ-ცალკე ერთანეთის მოკვლას ავალებს. თუმცა ქართველი მეფეები, უფლის წყალობით, მიხვდნენ ბოროტი შაჰის ვერაგობის და შხამით აღვსილი წერილები ერთმანეთს აჩვენეს და ძმათა სისხლისღვრას გადარჩა ქვეყანა.

როგორ ჩნდებიან იუდას 30 ვერცხლად გაყიდული **შადიმანები, ფარსადანები, ბერუკები** საქართველოს ისტორიაში? რა ჰქვიათ ასეთ ადამიანებს? პასუხი ერთია: მოღალატეები, გამცემები, დამბეზღებლები, ცრუები, ფარისევლები. სახარების მეცხრე მცნება გვეუბნება: *„არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“.* ვინ არიან ეს *„ქვეყნის არევის და ჩხუბის მოყვარე“* კაცები. პასუხი ერთია: ქართველები, რომლებიც *„ცილს სწამებენ მოყვასსა თვისსა...“*

გავაგრძელოთ „ქართლის ცხოვრების“ მატიანის ამ ამონარიდის განხილვა. *„მეფე სიკვდილს გიპირებს“* – ეუბნებიან *„ქვეყნის არევის“* მოყვარე კაცები გიორგი სააკაძეს. რა თქმა უნდა, გიორგი სააკაძის გულში იბადება კითხვა: რატომ უპირებს მეფე ლუარსაბ II მოურავს მოკვლას, მეფე, რომლის გულისთვისაც სააკაძე სიცოცხლეს არ იშურებს, მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების გასაძლიერებლად იბრძვის, რომლის მამა-პაპას (სვიმონ I, გიორგი X) ერთგულად მხარში უდგა და რომელნიც გიორგი სააკაძეს და მის მამა-ბიძეს წყალობის წიგნებით ქონებას, ყმებს, მიწებს ჩუქნიან? მეფე ლუარსაბი ხომ, როგორც საქართველოს ისტორიიდან არის ცნობილი, გიორგი სააკაძეს მიაბარა აღსაზრდელად მამამ – გიორგი X-მ (ვერაგი შაჰ-აბასის მიერ „ნელად მოქმედი შხამით“ მონამლულმა და აწ გარდაცვლილმა)? თბილისის მიტროპოლიტის **იოსებ ტფილელის** „დიდმოურავიანში“ გიორგი სააკაძის და ყმანვილი მეფის შეხვედრა ასეა აღწერილი:

„მეფეს ლუარსაბს როს ვახლდი,
ვით ვიყავ მისად ქებამდი;
ოცის წლის მამამ მიმართვა,
ის იყო ცამეტებამდი,
უწინაც მაპატივებდა, სამუდმოდ
გვერცა ხლებამდი“.

[ი. ტფილელი „დიდმოურავიანი“. თბ. 1939 წ. გ. ლეონიძის რედაქ. კარი 2,28]. ე. ი. იოსებ ტფილელის – გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწის, თბილისის მიტროპოლიტის და პოეტის ცნობით, გიორგი სააკაძე შვიდი წლით უფროსი ყოფილა ლუარსაბ მეფეზე, მეფეს პატივში (პატივისცემაში) და სულ გვერდში ჰყოლია.

მაშ, რატომ ხდება, რომ „ქვეყნის არევის“ მოყვარე იუდები გიორგი სააკაძეს ეუბნებიან: მეფე მოკვლას გიპირებსო? განა ისეთი რა უთხრეს სატანის მსახურებმა ახალგაზრდა ქართლის მეფეს, რომ ლუარსაბ მეორემ ერთგული მოურავის ღალატით მოკვლა გადაწყვიტა. დაკვირდით „ქართლის ცხოვრებაში“ „ღალატით მოკვლაზეა“ საუბარი და არა ჩვეულებრივ სააკაძის მკვლელობაზე, რაც, სამწუხაროდ, 1609 წელს ვერა (ოსმალო-თათარხანის ლაშქრის შემოსევის გამო), მაგრამ 1612 წლის 20 მაისს, სამიოდე წლის შემდეგ, წავკისის შეთქმულების დროს, გადაწყვიტეს მსხვილმა ფეოდალებმა და დაიყოლიეს ახალგაზრდა ქართლის მეფეც. მანამდე კი ისევ „ქართლის ცხოვრებას“ მივყვეთ. თავისი „ღალატით მოკვლის“ ამბის შეტყობის შემდეგ, ბუნებრივია, გიორგი სააკაძე აფორიაქდა და თავის საახლობლოს დაელაპარაკა, მოვლენათა გარჩევა დაიწყო. იგი უკვე ბრძენი და გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწეა, მეფის ერთგული კაცია, მამაცი სამხედრო პირია. მეფემდეც აღწევს გიორგი სააკაძის გაკვირვებით ღიად თუ ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები, რომელიც, როგორც შემდგომი მოვლენების ანალიზი ცხადყოფს, „იუდას ქურაში“ ინტერპრეტირებული მიაქვს ფარისეველ ვინმე ბერუკას ლუარსაბ მეფესთან.

ისმის კითხვა: ვინ არის ვინმე ბერუკა? რა ქვენა გრძნობები ამოძრავებს მას? ქვეყნის გადარჩენა – სახელმწიფოს კეთილდღეობა? მეფის კარგად ყოფნა? რატომ ემტერება ასეთი გველური დაუნდობლობით გიორგი სააკაძეს?

ამ კითხვებს „ქართლის ცხოვრების“ ვერც ვახუშტისეული და ვერც ბერი ეგნატაშვილისეული რედაქციები ვარ პასუხობენ. ორივე რედაქცია, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მალავს გიორგი სააკაძის სიძლიერე-გამორჩეულობას *(„ეს მოურავი გიორგი იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემმართებელი, უშიში„).* იქვე აღნიშნავს მოურავის სიფრთხილე-უნდობლობას *(„მცბიერი, მჩურჩნელი და უნდო„) [„ქც.“ თბ. 1973 წ.*

ნახ. ფიროსმანისა

გიორგი სააკაძის მაგალითზე

ტ. IV, გვ. 421]. გიორგი სააკაძის გარშემო ისეთი გარემოა და ისეთ ეპოქაში უწევს დიდ მოურავს ცხოვრება, რომ ფრთხილი და უნდო რომ არ ყოფილიყო, ისეთი ჭკუა-გონების და ფიზიკური ძალის პატრონი, შეუძლებელია.

და მაინც, ვინ არის ეს ბერუკა? საიდან იღებს სათავეს ლუარსაბ მეორესა და დიდ მოურავს შორის ამღვრეული წყალი?

სამწუხაროდ, 1609 წელს, ამ „იუდას წყლის“ სათავის არსებობა არ ეცოდინებოდა არც ლუარსაბ II-სა და არც გიორგი სააკაძეს. „იუდას ამბორი“ რომ ბერუკამ შეასრულა ქართულ ისტორიოგრაფიაში, მხოლოდ 1620 წლის სააკაძე-ჯავახიშვილის სასამართლო დავის საბუთებიდან ჩანს და იმასაც კარგად დაკვირვება უნდა.

მანამდე რას აკეთებს გიორგი სააკაძე? ისევ „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეს მოვუსმინოთ:

„...მოურავმან მიუგზავნა (მეფეს. ვ. ო.) მროველი (ავალიშვილი) დომენტი და შეუთვალა: „სიკვდილსა და ღალატს მიპირებო და რას მემართლები, დანაშაული რა მაქვსო, რომ მიწყრებიო და გნებავს სიკვდილი ჩემიო“... ანუ როგორ იქცევა გიორგი სააკაძე? პასუხი ნათელია: როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი აღმსარებელ-მაზიარებელი, რომელსაც რვა შვილი ჰყავს, სალოცავ-საძვალედ წმინდა ევსტატი პლაკიდას სახელობის მონასტერი აქვს, *საბ მეფემ მიაპყრო თვალი სიონის ტაძარს, პირჯვარი გადაიწერა და დიდებული ლოცვა წარმოთქვა: უფალო, აპატიე ჩემს მტრებს. შეძრწუნებულმა გიორგი სააკაძემ ძლივს მოახერხა ეთქვა: „მე ვარ შენი მტერი?“ და თვალები ცრემლებით აევსო.*

– შენ შეგეძლო შური ჩემზე გეძია, – უპასუხა მეფემ, - ხალხს რას ერჩოდი, რომელიც სამუდამოდ დაიღუპა, ან ეკლესიას, რომელმაც შენ სარწმუნოება და

ცხოვრება მოგანიჭა?

მონაზონი მაკრინე წერს, ამ წუთიდან გიორგი სააკაძე სპარსეთის მტერი გახდა და გადაწყვიტა, ადრე თუ გვიან, ბოლო მოეღო საქართველოში სპარსეთის ბატონობისათვის, რაც მის სულს მძიმე ტვირთად აწვა“ [ვ. იოსელიანი „დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება“. თბ. 1973 წ. გვ. 34].

ამ დროს არც ერთმა – არც მეფე ლუარსაბმა და არც სააკაძემ არ იცის, ვინ ჩამოაგდო მტრობა მათ შორის. ერთი იუდა ტრიალებდა მათ გარშემო ბოროტი სულის შაჰის (დედით და ბებიით ქართველის, როგორც რომის პაპის კლიმენტი VIII-ის წერილიდან ჩანს, შაჰის ქართველი ცოლისადმი) და მოღალატე დიდგვაროვანი ქართველი თავადების დავალებით. ეს არის ვინმე **ბერუკა.** მხოლოდ 1620 წელს ირკვევა, უკვე ცხადად, რაც ჩაიდინეს შაჰმა და მოღალატეთა გუნდმა მეფისა და სააკაძის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ქართველი ერის გადასარჩენად ცალ-ცალკე უნდა ეტვირთათ ჯვარცმა მეფე ლუარსაბ II-ს და დიდ მოურავს – გიორგი სააკაძეს...

ისტორიულ მოვლენათა წინსწრები მეთოდით გავაანალიზოთ 1609-1612 წწ-ში დატრიალებული ტრაგედია ორ დიდ ქართველს შორის, თუ როგორ შევიდა მათ ურთიერთობაში ბოროტი.

ჯერჯერობით ერთადერთი ისტორიული საბუთი, რომლითაც იხსნება საიდუმლო ლუარსაბ II-ის და გიორგი სააკაძის ურთიერთობის დაძაბვისა, მეფის მიერ ერთგული მოურავის ღალატით მოკვლის მცდელობისა არის 1620 წლის 15 აპრილით დათარიღებული *„სასამართლო განაჩენი დიდი მოურავისა და ჯავახიშვილის საქმის გამო“*. სამართლის ამ ისტორიულ ძეგლს წმინდა ღვთისკაცმა – **ექვთიმე თაყაიშვილმა** პირველმა მიაქცია ყურადღება და 1909 წელს გამოსცა კიდეც *[ექ. თაყაიშილის რედაქციით „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, გვ. 51-61. თბ. 1909 წ.]*. ასევე დედანი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში *[Hd-6259]*.

საყურადღებოა, რომ სასამართლო განაჩენში გიორგი სააკაძე „ბატონ მოურავად“ იხსენიება, მაშინ როდესაც დიდ თავადს – **ქაიხოსრო ჯავახიშვილს** მხოლოდ სახელით – **„ქაიხოს როთი“** მიმართავენ. თვით ქაიხოსროც გიორგი სააკაძეს ბატონობით ელაპარაკება, რაც დიდი მოურავის აღმატებულ პიროვნებაზე და მაღალ ავტორიტეტზე მიუთითებს, რასაც თვითონვე აღნიშნავს სასამართლოს სხდომაზე თავადი ჯავახიშვილი

როგორც სასამართლო განაჩენიდან ჩანს: *„მოურავ პატრონ გიორგის“* სარჩელი ჰქონია შეტანილი ქაიხოსრო ჯავახიშვილის წინააღმდეგ. აღნიშნული სამართლის ძეგლის მიხედვით, პირველად თავისი მოთხოვნა მოსარჩელემ – დიდმა მოურავმა ასე ჩამოაყალიბა: ქაიხოსრო ჯავახიშვილს ჩემს მშველელად, ქომაგად, ჩემთვის მზრუნველად ვთვლიდიო *(„მე ქაიხოსროს მოყურად და მოსამართლედ გამოველოდიო„)*, ამიტომ ჩემს მიერ, ჩემს სახლში, შვილივით გაზრდილი ჩემი აზნაური ბერუკა ქაიხოსროს გულისათვის დავთმე, ბერუკა უკუვაგდე და ქაიხოსროს მეგობრად და კეთილად მოვეკიდეო (შვილურად ბერუკა გავზარდეო, ის ხელიდან გავუშიო და *„ქაიხოსროს ხელი მოვკიდეო„)*, რაზედ ქაიხოსრო გიორგი სააკაძეს პასუხობს: *„ბატონს მოურავს მოყურადაც გამოველოდი და მოსამართლედაცო“...*

შემდგომი სარჩელის შინაარსი ასეთია: დიდი მოურავი ჩივის სასამართლოს წინაშე, რომ ქაიხოსრო მისი მოყვარე იყო, ამის გამო ქაიხოსრო ჯავახიშვილს დახმარებას ვუწევდიო: *„ჩემი საქმითა და მოყვრობითა სამს წელიწადს ისე შევინახეო, არცა ვის წასახდენლად და გასაგდებლად დავანებეო. რა მე წამახდინეს, ქაიხოსრო აქ დარჩაო და მე რას მემართლებოდაო, რომე ან ისეთნი უკაცრაული მკადრაო და ან მესისხლედ აღმოჩნდაო“...* აქ ლაპარაკია 1612 წლის 20 მაისის დიდი მოურავის წინაალმდეგ მოწყობილი შეთქმულების შემდეგ ნოსტეში და ამ მხარეში გიორგი სააკაძის სახლ-კარის გადაწვაზე, ქონების გაძარცვაზე, საქონლის და პირუტყვის დატაცებაზე და ა. შ. ჯავახიშვილი არ უარყოფს გიორგი ს

ანივარდ მოსოიანი

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერი ანივარდ მოსოიანი, რომელიც საქართველოში ერთადერთი ქალბატონია, რომელიც მერად აირჩიეს და წარმატებით უძღვება თავის მინდობილ საქმეს და მოსახლეობაშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

ქალბატონ ანივარდს, რომელმაც პრივატულ საუბარში გაგვიმხილა, ბევრი რამის გაკეთება სურს და ძალასა და ენერგიას არ ზოგავს, რათა ამომრჩევლისათვის მიცემული პირობა შეასრულოს, – მუნიციპალიტეტი წარმატებულ სტრუქტურად აქციოს და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ქართულ-სომხური ურთიერთობების და, განსაკუთრებით, კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

– ქალბატონო ანივარდ,

თქვენი მერად არჩევის დღიდან თითქმის ერთი წელი გავიდა, როგორ გრძნობთ თავს ამ ამპლუაში?

– ამ თანამდებობაზე ჩემი მუშაობა, ცხადია, დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ხალხისადმი თანადგომა, საქართველოს კანონებისა და მთავრობის დირექტივების, შესაბამისი მოთხოვნების მათთან მიტანა და მისი შესრულება, ეკონომიკური ბაზის პრიორიტეტების შეძლებისდაგვარად განვითარება, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგის, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, კოოპერატივების შექმნა, ასევე მცირე მეწარმეობის განვითარება, თანამედროვე ცხოვრების მთავარი ატრიბუტებია და სწორედ ამ მიმართებით გვიხდება მუშაობა და მთელი ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოყენება, რაც არც თუ ისე ადვილი საქმეა და დიდ ენერგიას მოითხოვს. ისიც ცხადია, – თითოეული განხორციელებული პროექტი დიდ სიამოვნებასა და ინტერესს გვიჩენს. შრომას ხომ მაშინ აქვს ფასი, როდესაც სასურველ შედეგებს აღწევ.

– უფრო ახლოს რომ გავაცნოთ ანივარდ მუსოიანი – ნინოწმიდის მერი, ჩვენი გაზეთის მკითხველებს, იქნებ თქვენი განვლილი ცხოვრების გზაზე გვესაუბროთ.

– დავიბადე 1974 წლის 9 მაისს ქ. ნინოწმინდაში (ყოფილი ბოგდანოვკა). 1991 წელს დავამთავრე ამავე ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის სრული კურსი, 1996 წელს – ერევნის ეკონომიკურ - იურიდიული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ფაკულტეტი, 2000 წელს – თბილისის საერო უნივერსიტეტის „გაენათის“ ფსიქოლოგიისა და ქართული ენის მასწავლებლის სპეციალობით. მერის თანამდებობაზე არჩევამდე ვმუშაობდი ნინოწმინდის N3 საჯარო სკოლაში ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებლად, ამავე დროს, გარკვეული პერიოდი – სკოლის დირექტორად, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსად. მერის თანამდებობაზე არჩევამდე კი ვიყავი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი – განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

– თქვენ ერთადერთი ქალბატონი ბრძანდებით საქართველოში, რომელიც მერად აგირჩიეს, ამ ფაქტს როგორ აღიქვამთ?

– ჩემთვის, როგორც ქალისთვის, ყველაზე რისკიანი ჩემი დღევანდელი თანამდებობაა, ვინაიდან მართლაც ერთადერთი მერი ქალბატონი ვარ, მაგრამ ვცდილობ, – პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელი ყველა კარგი თვისება გამოვიყენო ჩემი ხალხის საკეთილდღეოდ, მიუხედავად იმისა, რომ მარცხისთვისაც მუდამ მზად ვარ, არ მინდა შევცვალო ჩემი პოზიციები და დამოკიდებულება ნებისმიერი საკითხისადმი, რომელიც ჩემი მერად არჩევამდე გამაჩნდა. მუნიციპალიტეტს აქვს ბევრი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთების განკარგვის საკითხი; ნინოწმინდა-სომხეთის საზღვრამდე არსებული ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის მოასფალტება; ფოკის, ტამბოვკისა და გორელოვკის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების გაზიფიცირება, ვინაიდან ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს სამხრეთ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონს და მკაცრ კლიმატურ გარემოში გვიხდება ცხოვრება და მოღვაწეობა, სადაც ზამთრის პერიოდი გრძელდება 6 თვეზე მეტ ხანს, რის გამოც, ცხადია, სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო მეტი პრობლემა გვაქვს და ჩემთვის, როგორც ქალისთვის, როგორც ვთქვი, მართლაც, კოლოსალურ შრომას მოითხოვს.

– როგორ უყურებთ ქალის როლს საზოგადოებაში, გენდერულ თანასწორობაზე რა შეხედულების ბრძანდებით?

– რაც შეეხება გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებს: როგორც იცით, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, თბილისში გაიმართა პირველი ეროვნული კონფერენცია: „გენდერული თანასწორობა ადგილობრივ თვითმმართველობაში – გამოწვევები და შესაძლებლობები“.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, გენდერული თანასწორობის სფეროში მუნიციპალიტეტებს შორის კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა და, მეორე მხრივ, თვითმმართველობის ორგანოებსა და ეროვნულ ხელისუფლებას შორის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება. ოთხ მიწვეულ მუნიციპალიტეტებს შორის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტიც იყო. კონფერენციაზე წარდგენილი მქონდა გენდერული თვალსაზრისით არსებული პრობლემებიც და მიღწევებიც. დასამალი როდია, რომ ქალთა უფლებებისა და მათდამი სტერეო დამოკიდებულების ფორმების შეცვლისა და დაცვის კუთხით ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გაგვაჩნია. თუმცა ხელისუფლება ეფექტურ ნაბიჯებს დგამს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად, მათთვის თანასწორი გარემო პირობების შესაქმნელად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა როლის ამაღლებისა და სხვა მიმართულებით, მაგრამ მეტის გაკეთებაც შეიძლება. საქართველოს აქვს ქალთა უფლებებზე მუშაობისთვის საჭირო ინსტიტუციური მექანიზმები, რომელთა საქმიანობა სულ უფრო ეფექტური ხდება. საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, თუნდაც ის, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში 2015 წლის მარტიდან, შეიქმნა „ქალთა ოთახი“, რომელმაც ხელი შეუწყო ქალთა პრობლემების უკეთ გამოვლენას გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საქმეში, არასამთავრობო ორგანიზაცია – ICCN-თან დადებული შეთანხმებით, ორი თანამშრომელი გვყავს ქალთა ოთახის მენეჯერად.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დღემდე ფუნქციონირებს კულტურის სამსახურში გენდერული თანასწორობის განყოფილება, სადაც სამი თანამშრომელია დასაქმებული; 2016 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტმა, პირველად თავის ისტორიაში, აღმასრულებელ ორგანოს ხელმძღვანელად ქალი აირჩია მერად. ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი და დასტურია იმისა, რომ მოხდა სტერეოტიპების დაძლევა – ხელმძღვანელი პოზიციები იქამდე მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ დაეკავებინათ. ჩვენი მუნიციპალიტეტის, როგორც წარმომადგენლობით, ასევე აღმასრულებელ ორგანოში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა ამჟამად 30 % -ს აჭარბებს, რაც, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, არც თუ ისე ცუდი მაჩვენებელია...

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 2018 წლის ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებულია მარტოხელა დედებისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, მიზნობრივი პროგრამები. ეტაპობრივად ვღებულობთ შესაბამის ზომებს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ჩატარდა სასწავლო კურსები, – ტრენინგები, რომელიც მიმართული იყო აღნიშნულ სფეროში ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და უფლებრივი გაძლიერებისა და ქალთა ცოდნის ამაღლებისაკენ, რათა უკეთ განახორციელონ თავიანთი ეკონომიკური, პოლიტიკური უფლებები ყოველდღიურ ცხოვრებაში. გარდა ამისა, ასევე ხშირად ტარდება ტრენინგები ოჯახში ძალადობის, ნაადრევი ქორწინების პრევენციის მიმართულებით ქალთა შორის ცოდნის ამაღლების კუთხით და ხმამაღლა შემიძლია ვთქვა: – მრავალი სერიოზული მიმართულება გაგვაჩნია, რომელთა ჩამოთვლა, ალბათ, შორს წაგვიყვანს. ჩვენი მიზანია ამ მიმართებით ეს რეგიონი ოაზისად ვაქციოთ.

– მოგეხსენებათ, საქართველო ყოველთვის იყო ის ქვეყანა, სადაც მამაკაცი ქალს უაღრესად დიდ პატივს სცემდა, ქალისადმი დამოკიდებულებაზე ლეგენდები დადიოდა, ის კი არა, ტრადიციულად, მამაკაცებს შორის როგორი დაპირისპირებაც არ უნდა ყოფილიყო, მათ შორის ქალის მანდილი რომ ჩავარდებოდა, მოსისხლე მტრებიც კი გაშველდებოდნენ. ახლა რა ხდება, რატომ გახდა ასე საგანგაშო ქალებთან დამოკიდებულება პრობლემური, რომ ამდენი არასამთავრობოები ყოველდღიურად არ ამუნათებდნენ მამაკაცებს – შეცვალონ ქალებისადმი „სტერეო დამოკიდებულების“ ფორმები.

– რადგან წამყვან თანამდებობებზე განსაკუთრებით ინიშნებიან მამაკაცები, არსებობს ე.წ. მამაკაცებისა და ქალბატონებისათვის თუნდაც განსხვავებული თანამდებობებიც და პროფესიებიც, ამიტომაც, რა თქმა უნდა, არსებობს ეს „სტერეოტიპი“, თუმცა, ჩემის აზრით, სქესს არ უნდა ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა თანამდებობაზე დანიშვნისას.

– რა შეხედულებისა ბრძანდებით ე.წ.კვოტების შემოღებაზე, იმისათვის, რომ პარლამენტში, ხელისუფლების სტრუქტურებსა და ა.შ. დაცული იქნას ე.წ. გენდერული თანასწორობა?

– რაც შეეხება კვოტებს, ეს არის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მოხდება ქალების მეტი ჩართულობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებასა და საქმიანობაში. მთავარია კვოტირებისას გაკეთდეს აქცენტი ადამიანის პიროვნულ და მის გონებრივ თვისებებზე.

– თქვენ, როგორც სახელმწიფო მოხელე, ყოველთვის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებით ბრძანდებით დაკავებული, როგორ ათავსებთ ერთმანეთთან საოჯახო და სახელმწიფოებრივ საქმიანობას, როგორ ეგუება ამ სიტუაციას თქვენი მეუღლე?

– ვინაიდან 2008 წლიდან დღემდე დაკავებული ვიყავი ისეთი სამსახურებრივი საქმიანობითა და მოვალეობების შესრულებით, რომლებიც მოითხოვდნენ ბევრი დროისა და ენერგიის ხარჯვას, ამიტომ მაქვს შემუშავებული მკაფიო სამუშაო გრაფიკი არამხოლოდ სამუშაო საქმიანობის, არამედ ოჯახური ცხოვრებისთვისაც, თუმცა, ოჯახური და პოლიტიკური საქმიანობის შეთავსებას ესაჭიროება დიდი ძალა და ენერგია – სულიერი და ფიზიკური მხარდაჭერა, რომელსაც, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ოჯახის წევრებისგან ვღებულობ.

– როგორც ვიცით, თქვენ ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენთ, გიყვართ პოეზია, მხატვრული ლიტერატურა, განსაკუთრებით რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და პოეტი, რომელ ქართველ ავტორს იცნობთ, სომეხი მწერლებიდან ვის ანიჭებთ უპირატესობას და რატომ?

– განსაკუთრებით ვაფასებ შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“ და ვაჰან ტერიანის განუმეორებელ პოეზიას, ისინი არასოდეს არ „ძველდებიან“ და თაობიდან თაობაზე გადადიან, როგორც შეუფასებელი და წმინდა, საერო, სასულიერო და სახალხო მემკვიდრეობა. მწერლობა, პოეზია ის ფუნდამენტია, რაზეც დგას ამა თუ იმ ერის კულტურული ცხოვრება. რომ არა ეს დარგი, ცხადია, არ იქნებოდა ერის კულტურა. მასზე დგას ესტრადა, კინო, თეატრი... იგი ბაზისია საერთო ხელოვნებისა. აბა, გამოვაცალოთ იგი, – მთლიანად ჩამოიშლება ყოველივე ზემოთქმული, – ერის კულტურა. ამიტომაცაა, რომ განსაკუთრებით ამ დარგს უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება. ერი რომ ამაყობს თავისი დიდი ადამიანებით, პირველ რიგში დიდი მწერლები და პოეტები იგულისხმებიან. საქართველოსთვისაც ხომ სავიზიტო ბარათი რუსთაველია. რომ არა იგი, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ქართული კულტურა. ალბათ, მეტის თქმა უკვე ზედმეტია.

– ხელოვნება, კულტურა, ხალხს ეკუთვნის. ნებისმიერი ერი ფასდება თავისი კულტურით. თუ კულტურის განვითარებაზე არ ფიქრობენ, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ეს. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ბევრი შემოქმედი ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის ცნობილი მხატვრები და მწერლები, პოეტები. გვაინტერესებს, მუნიციპალიტეტი როგორ თანამშრომლობს მათთან?

– ნინოწმინდაში ცხოვრობს და მოღვაწეობს საქართველოს სომეხ მწერალთა კავშირის – „ვერნატუნის“ თავმჯდომარე ჟორა სნხჩიანი, რომელიც გახლავთ მერიის კულტურის სამსახურის უფროსი, ასევე მხატვარი სარქის არაიანი, რომელიც საქართველოსა და სომხეთის მხატვართა კავშირის წევრი და ს/ჯ მხატვართა რეგიონული საბჭოს კოორდინატორია. პერიოდულად ხდება მათთან შეხვედრები და ისინი სტიმულს აძლევენ მოზარდ თაობას განათლებულ და კულტურულ საზოგადოებად რომ ჩამოყალიბდნენ, ამასთან, ხშირად მონაწილეობენ მუნიციპალიტეტში ორგანიზებულ თითქმის ყველა მასობრივ ღონისძიებაში. ნინოწმინდის სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებაში ბატონ ს.აროიანს აქვს წრეები და ისიც მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას მათ ახმარს. შედეგები სახეზეა, ხელოვნებისადმი ინტერესმა არაერთ ახალგაზრდაში გაიღვიძა. ჟ. სნხჩიანის დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით კი თბილისში გამომავალ ჟურნალ „ალმანახში“ სისტემატურად იბეჭდება ჩვენი ნორჩი, ნიჭიერი პოეტებისა და მწერლების ლექსები და ნაწარმოებები, რაც მათთვის დიდი სტიმულის მიმცემია. გარდა ამისა, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს, რომელთა შემოქმედებაც დიდი იმედების მომცემია.

ხელოვნება და კულტურა ერის ისტორიის გამომხატველია და დღეს ნინოწმინდაში ფუნქციონირებს რამდენიმე ანსამბლი და მათ შორის გვყავს შესანიშნავი მუსიკოს-შემსრულებლებიც, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო კონკურსებში და დიდ წარმატებებსაც აღწევენ, რაც თითოეული ნინოწმინდელის წარმატებაა, ამით შეგვიძლია დავანახოთ ყველას, რომ ჩვენც, პროვინციაში მცხოვრებლებსაც, შეგვიძლია ჩვენი სიტყვა ვთქვათ, რომ კულტურას საზღვრები არ აქვს და აქაცაა შესაძლებელი დიდი საქმეების კეთება.

შემოქმედებით ინტელიგენციასთან – მწერლებთან და ხელოვანებთან ჩატარებული შეხვედრები, ყოველთვის განაწყობს მოსახლეობას იმისკენ, რომ მეტი საფიქრალ-საზრუნავი გვქონდეს მათ მიმართ, რათა ღირსეული პატივი მივაგოთ და დავაფასოთ ისინი. თუმცა შემოქმედის დამფასებელი მაინც დროა.

– 50 წელზე მეტია, რაც, თქვენთან, ტრადიციულად, აღინიშნება დიდი სომეხი პოეტის ვაჰან ტერიანის დღეები, მრავალი სტუმარი გსტუმრობთ როგორც სომხეთიდან, ასევე საქართველოს დედაქალაქიდან და რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან. რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ „ტერიანობა“ სომეხთა და ქართველთა მეგობრობის დღესასწაულად იქცეს?

– ნიშანდობლივია, რომ „ტერიანობა“, როგორც დიდი სახალხო დღესასწაული, რომელიც 50 წელზე მეტია იმართება, ჩემი აზრით, მართლა უნდა იქცეს ქართველი და სომეხი ერის ძმობის, ორმხრივი ნდობისა და განუყრელი მეგობრობის სიმბოლოდ. ასევე სიმბოლურია ისიც, რომ, თავის დროზე, ტერიანმა განათლება თბილისში მიიღო. იგი შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას, რის გამოც შეძლო სომხურ ენაზე გადაეთარგმნა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ წინასიტყვაობა. აკადემიკოსმა ნიკო მარმა აღტაცებით წაიკითხა რა ეს თარგმანი, მას „მზის ნაჭერი“ უწოდა. კვლავ მინდა გავიმეორო: „ტერიანობის სახალხო დღესასწაული“ მართლაც უნდა ვაქციოთ ორი ძირძველი ერის მეგობრობის დიდ სახალხო დღესასწაულად, ტერიანი ხომ ამ ორი მეგობარი ერის მეხოტბე და თაყვანისმცემელი იყო, ურომლისოდაც ერთი დღეც კი არ უცხოვრია.

– ქალბატონო ანივარდ, როგორც ამბობენ, გასული საუკუნის 20-იან წლებამდე ჯავახეთის სომხური მოსახლეობა შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას, დღესაც, ხანდაზმული ადამიანების დიდი ნაწილი, მეტ-ნაკლებად, ფლობს ქართულ ენას. თუმცა ასე ვერ ვიტყვით ახალგაზრდების დიდ ნაწილზე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა, მდგომარეობა მთლად სახარბიელო მაინც არაა. უფრო მეტი კულ-

დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის

ახლახან სამცხე-ჯავახეთის ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულმა ადამიანებმა კიდევ ერთი საინტერესო და საჭირო ახალი გამოცემა მიიღო – გამოვიდა ცნობილი მეცნიერის, პუბლიცისტისა და მკვლევარის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის **ნატო ყრუაშვილის** საინტერესო ნაშრომი – ***„განათლებისა და კულტურის კერები სამცხე-ჯავახეთში“***. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძირითადად დამხმარე სახელმძღვანელოა სტუდენტებისა და ისტორიის მასწავლებლებისათვის, ასევე მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ამ მხარის ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სადაც არ უნდა ცხოვრობდე, კარგად უნდა იცნობდე შენს რეგიონს, უპირველესად, მის წარსულს და დაინტერესდე მისი კულტურით. სწორედ ეს ნაშრომი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ღრმად ჩავწვდეთ მხარის განათლებისა და კულტურის განვითარების მთავარ ასპექტებს გასული საუკუნისა და მე-19 საუკუნის პერიოდებში. ამასთან, ამ ნაშრომით ავტორს გადაჰყავხარ უძველეს ხანაშიც – I-XVIII საუკუნეებში და გაცნობს ამ მიმართულებით



არსებულ მდგომარეობას მესხეთში; ასევე გაეცნობი ფაქტებსა და მოვლენებს, თუ რა როლი ითამაშა მხარეში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და მესხმა განმანათლებლებმა შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე XIX საუკუნეში; მხარის თეატრალურ ცხოვრებას, ინფორმაციულ მასალას ცნობილ დრამატურგებზე; ბეჭდვით გამოცემებზე; საბიბლიოთეკო ცხოვრებაზე; სტამბოლის კათოლიკე მამათა სავანესა და სტამბოლელ ქართველებზე; „ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების საკითხზე, მესხ ხელოვანებზე; ადგილობრივ პრესაზე; ახალციხის სამუსიკო სკოლაზე და სხვ.

წიგნის გამოცემის რედაქტორია პადაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ლია მენთეშაშვილი,** რეცენზენტები – ისტორიის დოქტორი, პროფესორი **რონინ ყავრელიშვილი** და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი **გულიკო ბექაური.**

წიგნი გამოიცა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

სამწუხაროა, რომ ასეთი დიდმნიშვნელოვანი გამოცემა ძალზე მცირე ტირაჟითაა გამოცემული და იმედია გამოჩნდებიან დაინტერესებული ბიზნესმენები და მხარში ამოუდგებიან წიგნის ავტორს მისი ახალი გამოცემის საქმეში.

ვასილ კოპტონაშვილი

ჩვენი გაზეთის მკითხველები, დროდადრო, აქტიურად ეცნობიან სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე იმ დიდ მამულიშვილთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომლებმაც განუსაზღვრელი ღვაწლი დასდეს მხარის როგორც საგანმანათლებლო, ასევე კულტურული ცხოვრების გაუმჯობესების დიდ ეროვნულ საქმეს. მშრალი ენთუზიაზმით, გაჭირვებისა და უდიდესი წინააღმდეგობების მიუხედავად, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, შესძლეს ეროვნული საქმეების კეთება და გადაარჩინეს საქართველოს ეს ძირძველი მხარე სულიერი გადაგვარებისაგან.

სწორედ ასეთ მამულიშვილთაგან ერთ-ერთი იყო დეკანოზი **ვასილ კოპტონაშვილიც,** რომლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ კიდევ ერთი საინტერესო კრებული მოამზადა და გამოსცა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა **ნატო ყრუაშვილმა.** ეს მისი მეთერთმეტე კრებულია, რომელიც მხარის კულტურული ცხოვრებისათვის დიდი შენაძენია.

ვასილ კოპტონაშვილი გახლდათ სახალხო სკოლის ცნობილი მასწავლებელი, საზოგადო პირი, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ქვეყნის წინაშე. აღნიშნულ გამოცემაში სხვა მასალებთან ერთად შესულია იმდროინდელ ქართულ პერიოდულ პრესაში, განსაკუთრებით „ივერიაში“, გამოქვეყნებული მისი პუბლიცისტური წერილები და ვრცლად – ეთნოგრაფიული და ლიტერატურული მემკვიდრეობა.

გამოცემის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ციური ლაფაჩი,** რეცენზენტები – პროფესორები – **რონ ყავრელიშვილი** და **მაყვალა დავითაძე.**

წიგნი დაფინანსდა ვასილ კოპტონაშვილის შთამომავლის **ანგელინა კოპტონაშვილის** მიერ.

სრულყოფილი ინფორმაცია რომ მიიღოთ

ვინც კი ერთხელ მაინც ყოფილა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში, დარწმუნდება, თუ რა დიდი ისტორიის მატარებელია საქართველოს ეს უძველესი მხარე. ისტორიული ექსპონატების ხილვის გარდა, ცოტამ თუ იცის, მის ფონდებსა თუ საცავებში რამდენი უნიკალური და დოკუმენტური მასალებია დავანებული, რომლებიც დიდ მესხ პატრიოტებს, მის ისტორიასა და კულტურაზე მოამაგე ადამიანებს ეკუთვნით,

იმისათვის, რომ მკვლევარებს და სხვა დაინტერესებულ ადამიანებს მიეცეთ შესაძლებლობა და ძირეულად გაეცვნენ ამ დიდი ადამიანების ფასდაუდებელ მემკვიდრეობას, მუზეუმის ამაგდარი მეცნიერ-თანამშრომლები **გრიშა (გრიგოლ) ჯვარიძე** და **ლევან ლაფაჩი** თავდაუზოგავად იღწვიან ინფორმაციული წვდომის შესაძლებლობების მაქსიმალური გაუმჯობესებისათვის, ამიტომ მათ კიდევ ერთხელ, ამ მიმართებით, დიდი სამსახური გაუწიეს მუზეუმის სიძველეებით დაინტერესებულ ადამიანებს და ახლახან გამოსცეს მეტად მნიშვნელოვანი კრებული – **„ინფორმაცია მუზეუმში დაცული პირადი არქივების შესახებ“,** სადაც შესულია ცნობილი მესხი განმანათლებლებისა და ფოლკლორისტების *კოტე გვარამაძის, ნიკო ასათიანის, ქრისტესია გვარამაძის, ილია მაისურაძის, გიორგი გოგოლაძის, ბესარიონ ტაბიძის, ვასილ კოპტონაშვილის, ზაქარია დიდიმამიშვილის* ხელნაწერი დოკუმენტების – მათი პირადი არქივების აღწერილობა, რომელთა საშუალებითაც ნებისმიერ ადამიანს შესაძლებლობა ექნება სრულყოფილად გაეცნოს და გამოიყენოს მისთვის მნიშვნელოვანი და საჭირო მასალა.



ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ, რამდენიმე წლის წინ, გრიშა ჯვარიძის მიერ გამოიცა დიდი მესხი მოღვაწის, „ვინმე მესხის“ – ივანე გვარამაძის სამეცნიერო და ლიტერატურული მემკვიდრეობის ვრცელი საარქივო მასალის აღწერილობა, რომელმაც, გამოცემისთანავე, მეცნიერ-მკვლევართა და საზოგადოების ინტერესი გამოიწვია.

გრიშა ჯვარიძე და ლევან ლაფაჩი ამჟამად ასევე ძირეულად ამუშავებენ მუზეუმის ფონდებსა და საცავში დაცულ ყველა იმ მდიდარ საარქივო მასალებს, რომელნიც დავანებულნი არიან აქ და ახალ სიცოცხლეს ელიან.

წიგნის წინასიტყვაობა და რედაქტირება ეკუთვნის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს **მიხეილ ქავთარიას;** რეცენზენტებია **ციური ლაფაჩი** და **ნატო ყრუაშვილი.**

წიგნი გამოიცა **ამირან გოზალიშვილისა** და **მალხაზ მანველიშვილის** ქველმოქმედებით.

ც.ლაფაჩი

დ. ლორთქიფანიძე

განახლებული ექსპოზიცია სამცხე-ჯავახეთის მუზეუმში

მესხეთს სამართლიანად უწოდებენ მუზეუმს ღია ცის ქვეშ. მისი ისტორიული წარსულის შესწავლას, თავის დროზე, განსაკუთრებული ღვაწლი დასდო არაერთმა დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა, რადგან იგი, უძველესი დროიდან, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა საქართველოს ისტორიაში. მესხეთისადმი ინტერესი არც თანამედროვე ეპოქაში შენელებულა და იგი კვლავ იწვევს მეცნიერთა



დიდ ყურადღებას, ძირძველი ქართველი ტომები ხომ სწორედ აქ, უძველესი დროიდან მოყოლებული, სათავეს უდებდნენ ქართულ კულტურას, რომლის საილუსტრაციოდ ჯერ კიდევ მეოთხე-მესამე ათასწლეულების უძველესი ყორლანული სამარხების სიმრავლეც კმარა, რომლებსაც თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ვხვდებით.

ახლახან კიდევ ერთი საინტერესო ფაქტის მოწმენი გავხდით, რომელმაც კვლავ წარმოაჩინა მესხეთი, როგორც უძველესი კულტურის მატარებელი მხარე – ივ.ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმში, რომლის საგამოფენო დარბაზებში უძველესი დროის უამრავი უმნიშვნელოვანესი ექსპონატია დაცული – გაიხსნა განახლებული საგამოფენო სივრცე, სადაც ჩაერთო რეგიონში ახლადაღმოჩენილი ექსპონატები.

მუზეუმის ექსპოზიციის შინაარსობრივი და ტექნოლოგიური განახლება განაპირობა უკანასკნელ წლებში ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ორჭოსანში აღმოჩენილი მასალების გამოფენაში ჩართვის აუცილებლობამ, კერძოდ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეული იქნა ნეოლითის ხანის (ძვ.წ.აღ-ით 37-35 სს) ორჭოსანის ნამოსახლარი და მის მიმართ დიდი სამეცნიერო ინტერესის გამო, აუცილებელი გახდა ექსპოზიციაში ასახულიყო საქართველოს ისტორიის ის პერიოდი, როდესაც ძლიერდება მესხეთის მოსახლეობის კავშირები შუამდინარეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურებთან.

ამ აღმოჩენით ნათლად გამოიკვეთა კავკასიის, ანატოლიის, ირანისა და მესოპოტამიის ნეოლითური ხანის კულტურებში საქართველოს როლი და მნიშვნელობა. ამ პერიოდში პირველად იწყება ფართო ხასიათისა და რთულპროფილიანი სამელითონეო ხელოსნობის წარმოება, – ადგილობრივი უხეშად დამუშავებული თიხის ნაწარმის გვერდით ჩნდება წითლად შელებილი და გაპრიალებული იმპორტული ჭურჭელი, კალიანი ბრინჯაოს ნაწარმი, რელიგიური რიტუალებისათვის მზადდება ანთროპომორფული და ზოომორფული თიხის ქანდაკებები, ჩნდება ბორბლიანი ტრანსპორტი, მზადდება სამკაულები და ა.შ.

საგამოფენო სივრცე შეივსო VI-VII საუკუნეების ადრექრისტიანული სარიტუალო ნივთებითაც, ასევე გამოიფინა ვანის ქვაბებში 1287 წელს მომხდარი მინისძვრის ამსახველი მასალები. დამთვალიერებელს შესაძლებლობა მიეცა გაეცნოს მესხეთის ისტორიის ამსახველ რუკებსა და წერილობით მასალებს, ასევე ვარძიის მიძინების ტაძარში არსებული თამარის ფრესკის ზუსტ ასლს და ბევრ სხვა მნიშვნელოვან მასალას.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ახალციხის მუზეუმში დაცულ ადგილობრივ ნუმიზმატიკურ კოლექციებს საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, რაც განპირობებულია იმით, რომ დოკუმენტურად დასტურდება ახალციხისა და არტანუჯის ზარაფხანების არსებობა და სამონეტო მიმოქცევა ძვ.წ.-აღ-ით V საუკუნიდან XIX საუკუნის ბოლომდე. ნუმიზმატიკური ექსპონატების წარმოდგენით კიდევ უფრო გამდიდრდა მუზეუმის ექსპოზიცია, რაც მნიშვნელოვან შთაბეჭდილებას ტოვებს დამთვალიერებლებზე, გარდა ამისა აქვე წარმოდგენილი იქნა არტანუჯის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტა, რომელიც მუზეუმს დროებით სარგებლობაში გადასცა საუდის არაბეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **გიორგი ჯანჯღავამ.**

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის განახლებული სივრცეების ცერემონიალი საზეიმოდ გახსნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა **დავით ლორთქიფანიძემ.** მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მეუფე **თეოდორე,** ახალციხის მერი **ზაზა მელიქიძე,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **მაკა ბერიძე,** ამავე უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე **მერაბ ბერიძე,** ბიზნესმენი **ვლადიმერ ზედგინიძე,** გუბერნატორის მოადგილე **გიორგი მიქელაძე.**

მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზისა და საგამოფენო სივრცის მოწყობა განხორციელდა კომპანია „ბრითიმ პეტროლიუმის“ (გენერალური დირექტორი **კრის შლიტერის**) ფინანსური დახმარებით. ღონისძიების დასასრულს მოწვეულ სტუმრებს მიესალმა და მადლობა გადაუხადა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის მენეჯერმა **ციური ლაფაჩმა** და გამოთქვა ღრმა რწმენა იმისა, რომ წარმოდგენილი ახალი ექსპოზიცია კიდევ უფრო გაზრდის მუზეუმის დამთვალიერებელთა ინტერესები და იგი დიდ პოპულარიზაციას გაუწევს მესხეთის, როგორც საქართველოს ძირძველი მხარის, დიდ ისტორიულ წარსულს.

ექსპოზიციის გახსნის საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდნენ ახალციხის მოსახლეობისა და მხარის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

გვერდი მოამზადა

ავთანდილ მესხმა

ტურული ინტეგრაცია რომ მოხდეს, განა სასარგებლო არ იქნება სომეხი ეროვნების მოსახლეობისთვის ქართული ენის ცოდნა? მაშინ ხომ უფრო გაუადვილდებათ მათ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებაც და ურთიერთობებიც? აი, მაგალითად, თქვენ შესანიშნავად ფლობთ ქართულ ენას, რა ნაგეთ ამით? პირიქით – სიკეთის მეტი ამას, ალბათ, თქვენთვის, არაფერი მოუტანია. თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისათვის, რომ სომეხი მოსახლეობა უფრო მეტად დავაინტერესოთ ქართული ენის შესწავლით?

– ვერ ვიტყვით, რომ ნაკლები მუშაობა მიმდინარეობს ამ მიმართებით. სომეხი მოსახლეობა ძალიან დაინტერესებულია ქართული ენის შესწავლით, სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუტების მხრიდანაც გვაქვს უდიდესი მხარდაჭერა, რის თაობაზეც უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება ნინოწმინდის სომხურენოვანი მოსწავლე - ახალგაზრდობის მიერ წინ გადადგმულ ნაბიჯებსა და მიღწეულ წარმატებებზე. პირადად ჩემი თაობის ნინოწმინდელებმა უმაღლესი განათლება ძირითადად საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს, სადაც პარალელურად მოხდა მათი ინტეგრირება ქართველ საზოგადოებთან. ჩემის აზრით, ასევე ენის სწავლისათვის საჭიროა გარემო და მოტივაცია. ჩვენ ვთვლით, რომ ვართ საქართველოს ღირსეული მოქალაქეები და ჩვენთვის ეროვნულმა ცნობიერებამ არანაირი გავლენა არ უნდა მოახდინოს ამ ორი მოძმე ერის ურთიერთ პატივისცემაზე.

– ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს უდიდესი შესაძლებლობა აქვს ტურიზმის განვითარებისათვის, სულ რომ არაფერი ვთქვათ, აქაური ბრწყინვალე ლანდშაფტი, გარემო, კილომეტრებზე გადაჭიმული ბრწყინვალე ტბები, ამის საშუალებას მართლა იძლევა. ამას შაორის უნიკალური კომპლექსიც ემატება... ტურიზმის განვითარებისათვის რა კეთდება და როგორია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, გიფიქრიათ თუ არა ინვესტიციების მოზიდვაზე?

– მართლაც უნიკალურია ჯავახეთის ბუნება, მუნიციპალიტეტი მდიდარია ტბებითა და ალპური მთებით, გვაქვს ასევე ბევრი ისეთი ღირსშესანიშნაობები, რომელთა თანმიმდევრული გამოყენება ტურიზმის განვითარებისათვის ბრწყინვალე შესაძლებლობებს იძლევა, საჭიროა მხოლოდ მეტი ინფრასტრუქტურული პროექტის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განხორციელება. არც ამ მიმართებით შეგვინელებია მუშაობა და მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის მიერ შემუშავებულია ტურიზმის განვითარების სერიოზული და განხორციელებადი მეტად საინტერესო პროექტები.

– დაბოლოს. ქალბატონო ანივარდ, სულითა და გულით მინდა გისურვოთ წარმატებები სამსახურეობრივ საქმიანობაში და, იმედია, სიტყვას საქმედ აქცევთ!

ინტერვიუს უძღვებოდა

ავთანდილ გერიძე

ნატვრა

დღე-ღამე სულ მას ვნატრულობ:
ეს ნატვრა ამიხდინაო,
საროში ქალსა მიქებენ,
ლოგინში ჩამიწვინაო,
ოქროს სასახლე ამიგო,
ვერცხლის „აკოშკა“ წინაო,
მუხრან ბატონი ყმად მამცა,
ამილახვარი შინაო.
კახური ღვინო წითელი,
გვერდითაც გამიჩინაო.

***

როცა კაცსა ღმერთი სწყალობს
ციდან მოუვა წესია.
ნაფუზარივით[1] მოუვა,
თუნდ კლდეზე დაუთესია.

ცხენი და ცოლი

ვაი, ცუდი ცხენის ყოლასა,
ვაი, სულ უცხენობასა.
ვაი, ცუდი ცოლის ყოლასა,
უი, სულ უცოლობასა.

ჯოჯოხეთის ამბავი

ჯოჯოხეთის ამბავს გეტყვით,
სათქმელად საზარელია,
მეტადრე ცოდვიანისა,
სულის ამოხდა ძნელია.
დედ-მამის მაგინებელსა
ეხვევა ჭრელი გველია,
ამხანაგის არ გამტანსა,
ცეცხლს უდევს ენის წვერია
და მამულის მოღალატეს
პირს უზის მორიელია.

***

ნუ დასდევ ჭრელსა პეპელას,
გაგიფრინდება, წაგივა,
ხორცი ხომ არას გარგია,
ტყავი სულ არათ გაგივა.

***

გამხიარულდი ბუხარო,
გულჩახვეული ნუ ხარო,
ხარები ტყეში გავგზავნე
შეშისთვის ნუღარ წუხარო.
დოხობური ხარები მყამს,
კი არ გეგონო უხარი.

ობოლი და სიკვდილი

სიკვდილმა ჩამოიარა
ობოლი დახვდა წინაო,
სიკვდილო, მე წამიყვანე,
ობლობა მომეწყინაო,
ახლა რომ შენ წაგიყვანო,
არვინ დაგრჩება შინაო?
არც მაქ სამთელ-საკმელი,
რომ სინათლეზე ვჯდებოდე.
მაშინ წაგიყვან ობოლო
ცოტა რომ გაიზრდებოდე.

***

ძაღლმა რომ ყეფა დაგიწყოს,
ჯოხს ნუ მოუქნევ მასაო,
ყეფა თითონვე შერცხვება,
არ ამოიღებს ხმასაო.

შაირობა

პირველი:

ნამგალობა მოვიდა,
ნამგალობა და ნამჯობა,
წრევანდელ მამითადშია
მკაში ვერავინ მაჯობა.

ნახ. მიხეილ იაძისა

მეორე:

თქვენი სოფლიდან გამოვა,
ეშმაკობა და ქაჯობა,
თუ ვირი არ იქნებოდე,
რატომ ვერავინ გაჯობა?

პირველი:

კარებზე შეშა გიგდია,
წვრილი მოზვრების სათარი,
თუ შენი ქალი კარგია,
გასათხოვარი რათ არი?

მეორე:

გეტყობა, ქალაქს ყოფილხარ
მოგიტანია სათალი,
შენ იმნაირად გახველებს,
სიკვდილი შენთვის მზათ არი.

ჭავჭავაძემ დამპატიჟა

ჭავჭავაძემ დამპატიჟა
ღვინო მასვა ტკბილიო,
იქიდან რომ წამოვედი
მამერია ძილიო,
ერთი ბუჩქი მამეწონა,
შეველ, შევყე ცხვირიო,
ერთ მეღორეს ჩემიევლო,
მიეპარა სტვირიო,
ჩემი სტვირის მამპარავსა
გაუსივდეს ცხვირიო
იმისი ცოლი მენახოს
შვიდი დღის მერე ქვრივიო,
ჩემ ძმისათვინ მამეყვანოს,
გამეწიოს ლხინიო.
ზითებშიაც მოჰყოლოდეს
ჩემი ჭრელი სტვირიო.

ზარმაცი ბიჭი

ბიჭო ეგ შენი ქებაო,
არა ვთქვა, არ იქნებაო,
პური ჭამაზედ მარდი ხარ,
საქმეზედ წელი გწყდებაო.
შენით არაფერს აკეთამ
არც რამეს გეტყვის დედაო.
ამისთანა სიცოცხლესაც
თვალიც კი დაუდგებაო,

ქალს

ადი, ქალო, მაღლა ხესა,
ჩამოყარე ბროწეული,
ჩამო და გვერდით მამიჯექ,
ქამხა მოგცე დაწერილი,
– არცა მინდა შენი ქამხა,
არცა შენი დაწერილი,
ჩემი ქმარი მირჩევნია,
გვირგვინშია ჩაწერილი.

***

ყოვლად წმინდა გარს გადგია,
გეყურება გალობაო,
ჩაიცვი და დაიხურე
მოგიხდება ქალობაო.

***

ვინც ორ სიტყვას რიგზე ვერ სწერს,
ისა ხალხის ჭირი არი,
ვინც რო წერა სულ არ იცის,
ის კი მართლა ვირი არი.

ახალციხის სახელმწიფო მუზეუმი.
გიორგი გოგოლაძის
ხელნაწერთა ფონდი N 87

[1] ნაფუზარი – სოფლის განაპირას მდებარე ყანას ეწოდება მესხეთ-ჯავა-ხეთში

მესხური ანდაზები

***
დღეს მეხვალიესაო, თოვლი მოუა კარსაო.

***
დილით ამდგომ უხაროდეს, გვიან
მოსადილესაო.

***
ალვა სცრა და მუშკი ზილა.

***
მექას წასულ ვირს არ ეტყვიან ჰაჯს,
არ დაადგმენ თავზე ჯიღას ოქროსას.
ბრუდედ ნაზარდ ხეს
ვერ გაასწორებ ჭობოშნის წასმით,

***
შაბს დუღილით ვერ აქცევ შაქრად,
ჯიშით გათხვრილი ჯიშსვე მიჰბაძავს.

***
ფაფით შეშინებული დოს უბერავდა.

***
თუ ცა მწყალობს, დედამიწა ვერრას
დამაკლებს.

***
უსირცხვილოს თუ არ არცხვენ,
ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების.

***
უნამუსოს პირში შეაფურთხეს,
მან სახეზე ხელი ჩამოისვა
და თქვა: იიფ, რა მიამა სამი დღეა პირი არ
დამიბანია.

***
რა მღვდლის ჯორივით გაჰქირდი?

***
ღმერთო, ბუნებით მდიდარო დიდო,
ჩემებრ იმედო, გთხოვ ყური მიგდო:
ძლეულს უდროვოთ სიკვდილისაგან
ამ წუთ სოფელში წილი დამიდო.

***
წვეთი წმინდა მადლისა,
ყველას მოგვმადლებია.
ზოგთა გულში ღვივის ის,
ზოგში ამომშრალია.

***
ვისაც სურს, რომ ფხიზელი თვალით,
ცხოვრების სვლას ჩაუკვირდეს
– შეისწავლოს, ან არ უნდა გაჩნდეს ქვეყნად,
ან უმალვე დაიმარხოს.

***
უკუდო ხარი თავისთვის არ იყო,
სხვას ბუზებს უგერიებდა.

***
ჯავახმა კაცმა რა იცის?
სადილს სჭამს, გაგორდებაო,
წინ რო დოქით ღვინო ედგას,
მაინც დო აგონდებაო.

***
ჩემი შენ გითხარი,
გული მოგიკალიო.

***
დავაყარე წისქვილსა,
გამოველი სირცხვილსა.

***
წისქვილი დაგიკარგავს,
ჩახრახს დაეძებო.

***
წყალის პირს ბაღს ნუ გააშენებ,
ის წყლისაა,
სიბერისას ცოლს თუ შეირთავ,
ის სხვისაა.

***
ჯავახია და ბრიყვობს,
დაე, თავისთვის იყოს.

***
აქეთ მოვცდი მცნებასა,
იქით ქორწინებასა.

***
ვთქვა? – ხანი მომკლავს,
არა ვთქვა – სისხლი მახრჩობს.

***
ავაფურთხე – ულვაშს მოხვდა,
დავაფურთხე – წვერსაო.

***
ჰოი, მწარე ბედო,
სამ დღეს გვაცინებ,
ხუთ დღეს გვატირებ,
მწარე ბედით დაჩაგრულო,
ნუ-ვინ იტყვის:
ბედნიერი ვარო.

***
ნაბიჭვარსაც აღზრდა უნდა.

***
დედის ხელი ხელანი,
სხვათა ხელი – ხმელანი.

***
შვილმა გული გაიარა,
შვილიშვილმა – გულისგული.

ჩაიწერა ნიკო ასათიანმა გასული საუკუნის 30-იან წლებში. ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი, N 3102;
ორივე მასალა მოგვაწოდეს ამავე მუზეუმის პასუხისმგებელმა მუშაკებმა
გრიშა (გრიგოლ) ჯვარიძემ
და ლევან ლაფაჩმა.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.shti@il.co
lit_meskheti@yahoo.com